პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 75 (9851) | შაბათი, 27 მარტი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

განუხრელად ვზაარდოთ სასუსლათო და სამრეწველო საქონლის წარმოება

 კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას წარმართავენ სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის შესაბამისად, რომლის არსს წარმოადგენს მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით. პარტია ყოველ ღონისძიებით ავითარებს მძიმე მრეწველობას — სოციალისტური ეკონომიკის საფუძველთა საფუძველს, რომლის ბაზაზე დასახული მსუბუქი და კვების მრეწველობის დაჩქარებული განვითარების ფართო პროგრამა.

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი მრეწველობა 1953 წელს, განსაკუთრებით წლის მეორე ნახევარში, უფრო ძლიერი ტემპით ვითარდებოდა, ვიდრე 1952 წელს.

შარშან გეგმის გადამეტებით გამოშვებულ იქნა შალის ქსოვილები, ტყავის ფეხსაცმელი, მარგარინის ნაწარმი, მცენარეული ზეთი, ხორცი, ძეხვეული, კონსერვები, საკონდიტრო ნაწარმი, დაფასოებული ჩაი, ყურძნის ღვინო, შამპანური და სხვ.

წელს სახალხო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის გამოშვების გასაადიდებლად გაცილებით უფრო დიდი გეგმებია დასახული.

ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრომ მიმდინარე წელს უნდა გამოუშვას 3.800 ათასი მეტრი შალის ქსოვილები, 16.730 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილები, 2.100 ათასი წყვილი ტყავის ფეხსაცმელი, ბევრად გადიდდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო საქონლის გამოშვება. მთლიანად სამინისტროს ხაზით წელს, 1953 წელთან შედარებით 19 პროცენტით უნდა გადიდდეს ყველა ასორტიმენტის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის გამოშვება. ამისათვის სამრეწველო საქონლის საწარმოებში წელს დიდი სარეკონსტრუქციო სამუშაოები უნდა განხორციელდეს. საფეიქრო ფაბრიკებს შეავსებენ ახალი, გაუმჯობესებული ტექნიკური აღჭურვილობით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ქსოვილების გამომყვანი საამქროების ტექნოლოგიური ბაზა, გადაწყვეტილია გაფართოვდეს საწარმოთა ცალკეული „ვიწრო უბნები“, შეიქმნას პირობები იმისათვის, რომ საწარმოო ფართობების გაუდიდებლად მიღწეულ იქნას პროდუქციის გამოშვების გადიდება.

წელს მრავალი ახალი ღონისძიების განხორციელებაა გათვალისწინებული სასურსათო საქონლის მრეწველობის უფრო მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის. 1954 წელს 1950 წელთან შედარებით ხორცის გამოშვება უნდა გადიდდეს 42,2 პროცენტით, ძეხვეულისა — 77,6 პროცენტით, ყველისა — 56,2 პროცენტით, მცენარეული ზეთისა — 21 პროცენტით, ჩაისა — 38,1 პროცენტით, ღვინისა — 37,4 პროცენტით, საკონდიტრო ნაწარმისა — 30,1 პროცენტით.

სასურსათო საქონლის მრეწველობის შემდგომი ზრდის მისაღწევად წელს კაპიტალური დაბანდებანი მნიშვნელოვნად გადააჭარბებს 1953 წლის კაპიტალდაბანდებებს. წელს უნდა დამთავრდეს მშენებლობა ბათუმისა და გორის ხორკომბინატებისა, რომლებიც დღეღამეში გადააამუშავებენ 25 ტონა ხორცს და 9 ტონა ძეხვეულს, უნდა ამუშავდეს ცხაკაიას მეფრინველეობის ფაბრიკის პირველი რიგი. 1954 წელს საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს რძის, პურსაცხობი და ღვინის ქარხნები, ჩაის ახალი ფაბრიკები.

სახალხო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის საწარმოთა კოლექტივებისა და მათი ხელმძღვანელების ღირსების საქმეა უნარიანად, სრული დატვირთვით გამოიყენონ ახალი ტექნიკა და ნედლეულის რესურსები, გამოავლინონ და აამოქმედონ საწარმოთა შინარეზერვები, ყოველი საშუალებით შეუწყონ ხელი შრომის ნაყოფიერების მკვეთრ გადიდებას, მიაღწიონ მუშაობის მოწინავე მეთოდების, წარმოების ნოვატორთა გამოცდილების მასობრივად დანერგვას და გავრცელებას.

იანვარსა და თებერვალში ფართო მოხმარების სასურსათო და სამრეწველო საქონლის საწარმოებმა ვერ შეძლეს რიტმის მტკიცედ შენარჩუნება, პროდუქციის გამოშვების გეგმების შესრულება. შეფერხებით მუშაობდნენ ისეთი მოწინავე საწარმოებიც კი, როგორიც არის თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა, ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკა, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი, სამკერვალო ფაბრიკები, ძეხვეულის საწარმო და ა. შ. მაუდ-კამვოლის ფაბრიკამ იანვარ-თებერვლის გეგმა მხოლოდ 89,7 პროცენტით გაანაღდა, თბილისის აბრეშუმსაქსოვმა ფაბრიკამ კი 85,4 პროცენტით.

მარტიდან ამ საწარმოთა მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. უკვე არის ყველა პირობა იმისათვის, რომ მარტში მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა უფრო მაღალნაყოფიერად იმუშაონ, შეავსონ ის დანაკლისი, რაც იანვარ-თებერვალში ჰქონდათ, და გადაჭარბებით გაანაღდონ პირველი კვარტალის საწარმოო დავალებები. ცხადია, არ კმარა მარტოის, რომ საწარმოებმა უზრუნველყონ გეგმის გადამეტებით პროდუქციის გამოშვება. მთავარია მისი ხარისხის გაუმჯობესება, ასორტიმენტის ნორმების დაცვა, თვითღირებულების შემცირებისათვის შეუნელებელი ზრუნვა.

კვარტალის ბოლომდე მცირე დრო დარჩა. ეს დრო ჩვენი მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა ხელმძღვანელების გამოცდის, მათი უნარიანობის შემოწმების პერიოდია. კარგად, ალღოიანად უხელმძღვანელო საწარმოს — ეს ნიშნავს უზრუნველყო საწარმოო პროცესების მთელი კომპლექსის რაციონალურად მოწყობა, შრომის ისეთი ორგანიზაცია, როდესაც მიღწეულ იქნება საწარმოს საერთო წინსვლა, რიტმული მუშაობის დამკვიდრება.

ჩაღდება საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება. საწარმოთა კოლექტივები მასობრივად ებმებიან ამ შეჯიბრებაში, კისრულობენ გადიდებულ ვალდებულებებს, პირობას იძლევიან მთელი ძალებით იბრძოლონ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული დიადი პროგრამის შესრულებისათვის, სახალხო მოხმარების სასურსათო და სამრეწველო საქონლის სიუხვისათვის.

საწარმოთა პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა წინდახედულად და უნარიანად ჩაუდგნენ სათავეში მასების შრომითს აქტივობას, ისე მოაწყონ საქმე, რომ საწარმოთა კოლექტივებმა შეძლონ ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად განაღდება.

სამინისტროების, ტრესტების, ადგილობრივი პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ სოციალისტური შეჯიბრება ჩვენი მუშაობის მეთოდია. კარგად ორგანიზებული შეჯიბრება უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების გადიდებას, ნედლეულისა და მასალების ეკონომიას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და მისი ხარისხის ამაღლებას, მოწყობილობის რაციონალურად გამოყენებას, საერთოდ საწარმოს მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებას.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს სსრ სახალხო მოხმარების სასურსათო და სამრეწველო საქონლის მრეწველობის მუშაკები, რომლებიც შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის იბრძვიან, უზრუნველყოფენ 1954 წლის სახელმწიფო გეგმის ყველა მაჩვენებლით წარმატებით შესრულებას.

ვადამდე შეასრულეს კვარტალური გეგმა

მინსკი, 25 მარტი. (საკდესი). ბელორუსიის სსრ სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს ხე-ტყის დამამზადებელმა საწარმოებმა ვადამდე შეასრულეს მერქნის გამოზიდვის კვარტალური გეგმა. მათ გამოზიდეს 120 ათასი კუბური მეტრით მეტი ხე-ტყე, ვიდრე გასული წლის პირველ კვარტალში. მნიშვნელოვნად გადიდდა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია.

ბელორუსიის ხე-ტყის დამამზადებლებმა ვალდებულება იკისრეს კვარტალის ბოლომდე გეგმის დამატებით გამოზიდონ სულ ცოტა 100 ათასი კუბური მეტრი მერქანი.

ჩელიაბინსკი, 24 მარტი. (საკდესი). გუშინ ტრესტ „ჩელიაბუგოლის“ შახტ „კრასნაია გორნიაჩკას“ კოლექტივმა უკანასკნელი რამდენიმე ტონა სათბობი გამოუშვა კვარტალური პროგრამის ანგარიშში.

სამხრეთ ურალის ქვანახშირის საწარმოთა შორის კვარტალური დავალება პირველებმა შეასრულეს ტრესტ „კოპეისკუგოლის“ № 44 და № 42-ბის შახტებმა. ამ საწარმოთა მაღაროელებმა ყველა ლავში მოაწყეს მუშაობა ციკლური გრაფიკით. მათ მარტში რამდენიმე მეტრით უფრო წინ წასწიეს სანგრევის ასაწმენდი ხაზი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XII ყრილობა კომკავშირელთა თვრამეტმილიონიანი არმიის სახელით, საბჭოთა ხალხის მთელი ახალგაზრდა თაობის სახელით მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და მის ცენტრალურ კომიტეტს უთვლის მგზნებარე კომკავშირულ სალამს!

უსაზღვროა საბჭოთა ქვეყნის ჭაბუკებისა და ქალიშვილების სიყვარული და ერთგულება კომუნისტური პარტიისადმი. ისინი პარტიას უკავშირებენ უაღრესად სანუკვარ ფიქრებსა და მისწრაფებებს, მას უმადლიან თავიანთი ცხოვრების მთელ ბედნიერებასა და სიხარულს. პარტია დღითიდღე ზრდის და ზრუნავს სოციალიზმის ქვეყნის ახალგაზრდა თაობისათვის. ლენინური კომკავშირი მთელ თავის მოღვაწეობაში გრძნობს კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიურ, მამობრივ ზრუნვას. პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირის ძალისა და სიმტკიცის წყაროა.

ყრილობის დელეგატები, მთელი ლენინური კომკავშირი უდიდესი ენთუზიაზმით შეხვდნენ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას საკავშირო ალკკ XII ყრილობისადმი. ამ დოკუმენტში დასახულია კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებლების, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვროდ ერთგული ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში კომკავშირის მთელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საბრძოლო პროგრამა.

ყრილობა პირობას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ კომკავშირელები, საბჭოთა ჭაბუკები და ქალიშვილები მთელ თავიანთ ძალებს მოახმარენ პარტიის ბრძნულ წინასწარდასახულებათა განხორციელებას.

კომკავშირელები, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა უფრო აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ჩვენი ქვეყნის მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. კომკავშირი გაორკეციებული ენერგიით გააჩაღებს ახალგაზრდობაში სოციალისტურ შეჯიბრებას სოციალისტური მრეწველობის შემდგომი განვითარებისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის, ჩვენს ქვეყანაში სახალხო მოხმარების საქონლის სიუხვის შექმნისათვის.

პარტიამ კომკავშირს დააკისრა კეთილშობილური და პასუხსაგები ვალდებულებანი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში. კომკავშირი კიდევ უფრო გულმოდგინედ გაუწევს დახმარებას ჭაბუკებსა და ქალიშვილებს — დაეუფლონ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს, შეგნებულად განახორციელონ მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ყოვლისმძლე მოძღვრება. ლენინური კომკავშირი ყოველივეს გააკეთებს იმისათვის, რომ ახალგაზრდა თაობა იზრდებოდეს შრომისმოყვარე და მხნე, ძლიერი და გამბედავი, უსაზღვროდ ერთგული პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი, ღრმად დარწმუნებული კომუნიზმის გამარჯვებაში, უნარის მქონე გადალახოს ყოველგვარი სიძნელე ამ სანუკვარი მიზნისაკენ მიმავალ გზაზე.

კომკავშირი კვლავაც იბრძოლებს, რათა საბჭოთა ახალგაზრდობა გულმოდგინედ იუფლებოდეს ცოდნას, მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, შესწევდეს უნარი პრაქტიკულად გამოიყენოს იგი სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. კომკავშირული ორგანიზაციები დაუცხრომლად იზრუნებენ ახალგაზრდობის ფიზიკური წრთობისათვის, შრომისა და საყვარელი სამშობლოს დასაცავად მისი მომზადებისათვის.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული კომკავშირი მუდამ იქნება დემოკრატიული ახალგაზრდობის ავანგარდში, ყოველი ღონისძიებით განამტკიცებს ძმურ კავშირს დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდობასთან, ყველა ქვეყნის ახალგაზრდა თაობასთან, რომელიც იბრძვის მშვიდობისათვის, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

ჩვენმა ყრილობამ ჩაიარა პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში, გამოამჟღავნა ნაკლოვანებანი კომკავშირული ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელი ორგანოების მუშაობაში, შეიმუშავა კომკავშირის მოღვაწეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი. ყრილობამ დასახა ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესების გზები, პიონერული ორგანიზაციისა, რომელიც დიდ როლს ასრულებს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ აღზრდაში. კომკავშირი გადაჭრით განდევნის კომკავშირული ორგანოების მუშაობის პრაქტიკიდან ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატულ მეთოდებს, ყოველი ღონისძიებით განამტკიცებს ცოცხალ კავშირს ახალგაზრდობის ფართო მასებთან, დაუცხრომლად იზრუნებს ჭაბუკებისა და ქალიშვილების სულ უფრო მზარდი მოთხოვნებისა და ინტერესების დაკმაყოფილებისათვის.

საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი თავის XII ყრილობაზე მოვიდა ისე დარაზმული პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო, როგორც არასოდეს არ ყოფილა. კომუნისტური პარტია ახალგაზრდობის ბრძენი მასწავლებელი და დამრიგებელია. პარტიის სიტყვა, პარტიის საქმე კომკავშირისათვის ყველაფერზე მაღალია. ყრილობა პირობას აძლევს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ლენინიზმის უკვდავი იდეების ერთგული კომკავშირი კვლავაც მტკიცედ და ურყევად გაჰყვება კომუნისტების პარტიას, როგორც მისი ერთგული შვილი, როგორც მისი საიმედო რეზერვი და თანაშემწე. კომკავშირი, საბჭოთა ახალგაზრდობა დაუღალავად დაეხმარებიან პარტიას, საბჭოთა მთავრობას საბჭოთა სახელმწიფოს, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირის, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის განმტკიცებაში, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, კომუნიზმისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის დიად წარმმართველ და ხელმძღვანელ ძალას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს!

მუშაობა დაამთავრა საკავშირო ალკკ XII ყრილობამ

26 მარტს მუშაობა დაამთავრა საკავშირო ალკკ XII ყრილობამ. ყრილობამ ფაფული კენჭისყრით აირჩია საკავშირო ალკკ ხელმძღვანელი ორგანოები. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი არჩეულია 103 წევრისა და 47 კანდიდატის შემადგენლობით, ცენტრალური რევიზიონო კომისია — 31 კაცის შემადგენლობით.

ყრილობაზე მისალმებები გამოვიდნენ უცხოთის ახალგაზრდობის წარმომადგენლები: **არნე ერგენსენი** — ნორვეგიის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, **მანუელ გომესი** — ჩილის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის წარმომადგენელი, **ოლბან ვოლფი** — სრულიად ჰოლანდიის ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, **ფარპანი** — ირანის სახალხო ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, **ენრიკე აპარისიო** — ვენესუელის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის წარმომადგენელი, **დავიდ ბურშტაინი** — ისრაელის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, **რუბენ ასკონეგი** — ურუგვაის კომუნისტური ახალგაზრდობის წარმომადგენელი, **ჯამალი** — სირიის სტუდენტთა რესპუბლიკური კავშირის მდივანი, **პედრო გარსია** — კუბის სოციალისტური ახალგაზრდობის წარმომადგენელი, **ჰუბერტ შვაბი** — ავსტრიის თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირის თავმჯდომარე, **ტერესა მარტინესი** — ესპანეთის გაერთიანებული სოციალისტური ახალგაზრდობის ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელთაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ. წაკითხულ იქნა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების მუშა ახალგაზრდობის ლოგის მისალმება.

თავმჯდომარე იუწყება, შემოვიდა წინადადება, რომ საკავშირო ალკკ XII ყრილობამ მისალმება გაუგზავნოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. ამ წინადადებას დელეგატები ხანგრძლივი, მქუხარე ტაშით ხვდებიან. ყველანი ფეხზე დგებიან.

მისალმების ტექსტს აქვეყნებს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **რაპოხინი.**

ყრილობა პირობას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ნათქვამია მისალმებაში, რომ ლენინიზმის უკვდავი იდეების ერთგული კომკავშირი კვლავაც მტკიცედ და ურყევად გაჰყვება კომუნისტების პარტიას, როგორც მისი ერთგული შვილი, როგორც მისი საიმედო რეზერვი და თანაშემწე.

ყრილობის დელეგატები ერთსულოვნად იწონებენ მისალმების ტექსტს. დარბაზში გაისმის მქუხარე ტაში, შეძახილები — გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას და მის ცენტრალურ კომიტეტს, „ვაშა“.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **შელეპინმა** ყრილობის დახურვისას განაცხადა, რომ საკავშირო ალკკ XII ყრილობამ ჩაიარა პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში, ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში კომკავშირის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ნიშნით, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის ახალგაზრდა პატრიოტების მთელი ძალების მობილიზაციის ნიშნით. ყრილობა გახდა საბჭოთა ახალგაზრდობის მზარდი და მტკიცე საერთაშორისო კავშირის, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისადმი მისი მხურვალე მისწრაფების მკაფიო დემონსტრაცია. ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები, თქვა ამხ. შელეპინმა, ყრილობისადმი მისალმებაში ლაპარაკობდნენ თავიანთი ქვეყნების ახალგაზრდობის ბრძოლაზე უკეთესი მომავლისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის, მილიონობით ჭაბუკისა და ქალიშვილის მხურვალე მისწრაფებაზე განამტკიცონ მეგობრობა სოციალიზმის ქვეყნის ახალგაზრდობასთან. გულითად მადლობას ვუძღვნით ჩვენს სტუმრებს ყრილობისადმი, კომკავშირისადმი, ახალგაზრდობისადმი მისალმებისათვის.

ჩვენი ქვეყნის ჭაბუკები და ქალიშვილები მუდამ და ყველაფერში გაჰყვებიან პარტიას, იქნებიან მისი ერთგული შვილები, დიდი სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები. საბჭოთა ახალგაზრდობა კვლავაც იცხოვრებს და იმუშავებს, იბრძოლებს და გაიმარჯვებს ისე, როგორც კომუნისტური პარტია გვასწავლის.

გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — საბჭოთა ახალგაზრდობის ავანგარდს!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სამშობლოს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

დარბაზში იფეთქა მქუხარე ოვაციამ. ყველანი ფეხზე დგებიან. დელეგატები და სტუმრები მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“ და მსოფლიოს დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნს. (საკდესი).

შიშის მთესველნი და ომის ისტერიის შთამაგონებელნი

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირმა გარკვეული დადებითი როლი შეასრულა, რამდენადაც მან უზრუნველყო საერთაშორისო დაძაბულობის ერთგვარი შენელება. შეთანხმებულმა გადაწყვეტილებამ იმის შესახებ, რომ მოწვეულ იქნას საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელთა თათბირი სხვა დაინტერესებული ქვეყნების მონაწილეობით, შესაძლებელი გახადა მოწვეულ იქნას კორეაში საბოლოო მშვიდობიანი მოწესრიგება და ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტა. ევროპაში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება მოძრაობა მშვიდობის მტკიცე გარანტიის დამყარებისათვის არა სახელმწიფოების ზოგიერთი სამხედრო დაჯგუფებათა დაპირისპირებით სხვა დაჯგუფებათა მიმართ, არამედ იმით, რომ შეიქმნას კოლექტიური უშიშროების სისტემა ყველა დაინტერესებული ქვეყნის მონაწილეობით. ბოლოს, არის აგრეთვე გაუმჯობესების ნიშნები სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის განვითარებაში.

ბუნებრივია, რომ ევროპისა და მთელი მსოფლიოს ხალხები ახლა იმედით შეჰყურებენ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების შესაძლებლობას. მთელ რიგ ქვეყნებში, კერძოდ, ინგლისში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში, სულ უფრო ძლიერად გაისმის ხმები ყბადაღებული „ცივი ომის“ პოლიტიკის წინააღმდეგ.

მაგრამ ასეთი პერსპექტივა, როგორც ჩანს, ეწინააღმდეგება ამერიკის მონოპოლიებს ინტერესებს, რომლებიც ცდილობენ თავშეუკავებელი გამალებული შეიარაღებით შეაჩერონ ამერიკის შეერთებულ შტატებში ეკონომიური კრიზისის დაწყება ან თუნდაც შეანელონ მისი მზარდი გავლენა. ცდილობენ რა შეინარჩუნონ და გააძლიერონ საერთაშორისო დაძაბულობა, ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიები ვარაუდობენ აიძულონ ამერიკელი გადასახადთა გადამხდელი, აგრეთვე ატლანტიკის ბანაკის ქვეყნების გადასახადთა გადამხდელები უდრტვინველად იხადონ შეიარაღების ვიებერთელა პროგრამის ხარჯები, რომელსაც ამერიკის მონოპოლიებისათვის მრავალი მილიარდი მოგება მოაქვს. ასრულებს რა მონოპოლიების ნებას, რომლებიც დაინტერესებული არიან ახალი სამხედრო დაკვეთებით, ამერიკის დიპლომატია და, კერძოდ, მისი ხელმძღვანელი არ ერიდებიან არავითარ საშუალებას, რათა კვლავ გააძლიერონ დაძაბულობა საერთაშორისო ურთიერთობაში.

ბოლო დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალი ძალით ატყდა ისტერიული ხმაური: თითქოს შეერთებულ შტატებს და მათს მოკავშირეებს ემუქრება რაღაც „საფრთხე“ „საბჭოთა ბლოკის“ მხრივ. ამ სრულიად დაუსაბუთებელი ვერსიის მთავარი მქადაგებლის როლში გამოდის ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯონ ფოსტერ დალესი.

მაგალითად, 19 მარტს სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში დალესი ყოველნაირად ცდილობდა თავს მოეხვია თავისი მსმენელებისათვის აზრი, თითქოს **თვით არსებობა**, როგორც მან თქვა, „საბჭოთა ბლოკისა“, რომელიც ვრცელდება „ელბიდან გერმანიაში წყნარ ოკეანემდე“ და აერთიანებს 800 მილიონ კაცს, „წარმოადგენს ისეთ სერიოზულ საფრთხეს, როგორსაც ჩვენ (ე. ი. შეერთებული შტატები. — რედ.) ჯერ არასოდეს არ შევხვედრივართ“. ეს „საფრთხე“, დალესის სიტყვით, იზრდება იმით, რომ კაპიტალისტურ სამყაროში „გარდუვალად არსებობს“... „უკმაყოფილება და დაუკმაყოფილებელი მისწრაფებანი“.

უხეშად ამახინჯებს რა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ მიზნებს, ამერიკის დიპლომატიური სამსახურის ხელმძღვანელი „მოუწოდებს მომზადდეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი მოკავშირეების სამხედრო ძალები იმ ვარაუდით, რომ „დაუყოვნებლივ მიაყენონ მასირებული საპასუხო (?) დარტყმა“, ამასთან მას მოუხდა არაერთხელ დაეძვრინა თავი იმ მდგომარეობიდან, რომელშიც ჩავარდა საკუთარი განცხადებებით ამის შესახებ.

საქმე ის არის, რომ თავის წინა გამოსვლებში და, კერძოდ, თავის სიტყვაში 12 იანვარს ნიუ-იორკში დალესმა აგრესიული აზარტით, დაკარგა რა რეალობის ყოველგვარი გრძნობა, გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ ყოველგვარი ადგილობრივი კონფლიქტის შემთხვევაში, სადაც უნდა მოხდეს იგი, დაიწყონ საომარი მოქმედება, სადაც მათ მოეპრიანებათ და ვის წინააღმდეგაც მოეპრიანებათ, გამოიყენონ ყველა სახეობის შეიარაღება, თვით ატომური ბომბებიც. მისი სიტყვიდან გამოდიოდა, რომ ამ აგრესიაში შეიძლება ავტომატურად ჩაბმულ იქნან ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეები ატლანტიკისა და პანამერიკის პაქტებით, ამასთან მათ არც კი ჰკითხავენ ამის თანხმობას. ახლა სენატის კომისიაში დალესმა, დაიხია რა უკან ამ საკითხზე თავისი პირვანდელი განცხადებებიდან, დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ აპირებენ „გადაკეთონ ყოველგვარი (!) ადგილობრივი ომი საყოველთაო ომად“.

ეს უკანასკნელი განცხადება ცხადყოფს, რომ დალესი იძულებულია თავი დაიდწიოს იმას, რაც თვითონ მოჩმახა, რადგან მის აშკარა აგრესიულ განცხადებებს გმობენ როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისე მათს ფარგლებს გარეთაც. ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე აგრესიული წრეების მუქარამ, რომ გააჩაღებენ მსოფლიო ომს ყოველგვარი საბაბით, რომელსაც ისინი მოხერხებულად მიიჩნევენ, ისე რომ არ დაეკითხებიან ამერიკის კონგრესს და არ მოითხოვენ მოწვევის ნებას, სერიოზული შეშფოთება გამოიწვია თვით შეერთებული შტატების [illegible] ფენებში, [illegible] ბევრ ქვეყნების მთავრობის წრეებში.

ამერიკის უფრო საღად მოაზროვნე ადამიანებს ესმით, რომ ომის ავანტიურისტული პოლიტიკა, რომლის პროპაგანდასაც დალესი ეწევა, საშიშია თვით შეერთებული შტატებისათვისაც. პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა დემოკრატიული პარტიისაგან სტივენსონმა 7 მარტს მაიამი-ბიჩში შენიშნა, ამ პოლიტიკის განხორციელება გამოიწვევს იმას, რომ... „შეიძლება ჩვენმა ქალაქებმაც განიცადონ ნგრევა“.

ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეებში ამ პოლიტიკამ წარმოშვა სერიოზული შეშფოთება თავიანთი მომავლისათვის. ამერიკის პოლიტიკის ერთგული მომხრეებიც კი შეშფოთებული იყვნენ იმით, რომ საკითხს იმის შესახებ, ჩაებან თუ არა მათი ქვეყნები ახალ მსოფლიო ომში, ესე იგი თვით მათი არსებობის საკითხს გადაწყვეტენ არა ამ ქვეყნების მთავრობები, არამედ ერთი მუჭა ამერიკელი პოლიტიკანები, რომლებიც ცდილობენ თვითნებურად მიისაკუთრონ უფლება — განაგებდნენ სხვა სახელმწიფოთა ბედს როგორც მათ მოეპრიანებათ.

ამ უკმაყოფილებამ გამოხატულება ჰპოვა, კერძოდ, კანადის საგარეო საქმეთა მინისტრ პირსონის სიტყვაში, რომელიც მან 15 მარტს წარმოთქვა ვაშინგტონში, გაილაშქრა რა დალესის განზრახვის წინააღმდეგ — გადაჭრას თავისი შეხედულებისამებრ ომისა თუ მშვიდობის საკითხი, პირსონმა აღნიშნა კანადელთა უკმაყოფილება იმით, რომ „ჩვენი ბედი (ე. ი. კანადის ბედი. — რედ.) შეიძლება გადაწყდეს არა თვით ჩვენი ნებით, არამედ ჩვენი საზღვრის გადაღმა“. გადაკვრით ილაპარაკა რა ამ პოლიტიკის ავანტიურიზმზე, პირსონმა შენიშნა, რომ მის ავტორებს „ცოტა-ცხელება ემართებათ, როცა ჩვენ პანიკის მსგავს რაღაცას განვიცდით“.

ასახავს რა დიდ შეშფოთებას, რომელიც ინგლისში წარმოიშვა ამერიკის შეერთებული შტატების „ახალი საომარი პოლიტიკის“ გარშემო ატომური ხმაურის გამო, ინგლისის პრესა შეშფოთებით აღნიშნავს, რომ შეერთებულ შტატებს შეუძლიათ მსოფლიო ომში ჩაითრიონ ინგლისი ისეთი შემთხვევის გამო, როცა ინგლისი სხვა პოზიციაზე იდგება. გაზეთები მოითხოვენ აიძულონ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები კონსულტაცია იქონიონ თავიანთ მოკავშირეებთან.

მაგრამ ყველა ამ გამაფრთხილებელმა ხმამ, როგორც ჩანს, ვერ აიძულა დალესი უარი ეთქვა ავანტიურისტულ „ახალ საომარ პოლიტიკაზე“. და თუმცა იგი შეეცადა სენატის კომისიის წინაშე თავის სიტყვაში შეერბილებინა თავისი 12 იანვრის განცხადებით გამოწვეული შთაბეჭდილება, არსი პოლიტიკისა, რომელსაც იგი ქადაგებდა, წინანდელი დარჩა.

სავსებით ცხადია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დაჟინებითი ცდები — შეიქმნას მთელ კაპიტალისტურ სამყაროში ომის ისტერიის ატმოსფერო, კეთდება გარკვეული ვარაუდით. ამაში გამოხატულებას პოულობს; ერთი მხრივ, იმის ცდები, რომ ხელი შეუშალონ ქვეყნების ურთიერთობაში დაძაბულობის შემდგომ შენელებას და მოწვამლონ საერთაშორისო ატმოსფერო, ხოლო, მეორე მხრივ, დაამშინონ ამერიკელი ობივ

საკავშირო ალკკ XII ყრილობის რეზოლუციები

ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის მუშაობის შესახებ

I.

ჩვენი ქვეყნის ნორჩი თაობა გარემოსილია კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, მთელი ხალხის უდიდესი სიყვარულითა და ყურადღებით. საბჭოთა ბავშვებს შექმნილი აქვთ სწავლის, დასვენების, შემოქმედებითი ნიჭის განვითარების უაღრესად ფართო შესაძლებლობა. წლითიწლობით მატულობს სკოლების რაოდენობა, იზრდება ასიგნობანი სახალხო განათლებისათვის. პიონერებისა და მოსწავლეებისათვის გახსნილია ათასობით პიონერთა სასახლე და სახლი, ნორჩ ნატურალისტთა, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები, საექსკურსიო ბაზები, საბავშვო რკინიგზები, პარკები, ბაღები, სტადიონები. მილიონობანი ტირაჟებით გამოდის მხატვრული და მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურა ბავშვებისათვის.

მოზარდი თაობისათვის დიდი ზრუნვით არის გამსჭვალული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მითითებანი იმის შესახებ, რომ უახლოეს წლებში მოხდეს შვიდწლიანი განათლებიდან საყოველთაო სამუალო განათლებაზე გადასვლა და განხორციელდეს პოლიტექნიკური სწავლება საშუალო სკოლაში.

საბჭოთა მოსწავლეების ცხოვრება განუყოფელად დაკავშირებულია ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის საქმიანობასთან. ამჟამად პიონერის ასაკის მოსწავლეთა უდიდესი უმრავლესობა პიონერია. პიონერთა ორგანიზაცია ბავშვებს ზრდის საბჭოთა სამშობლოსადმი სიყვარულისა და ერთგულების, ხალხთა შორის მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის მუშაობა სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის განუყოფელი ნაწილი გახდა.

პიონერთა ორგანიზაციები ეწევიან მრავალფეროვან მუშაობას, აბამენ ბავშვებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უნერგავენ მათ სწავლისადმი შეგნებულ დამოკიდებულებას, დისციპლინიანობას, შრომისმოყვარეობას, ცოდნისმოყვარეობას. მილიონობით პიონერი კარგად სწავლობს, სამაგალითოდ იქცევა. თავისი საქმის მცოდნე და მოყვარული ათასობით პიონერხელმძღვანელი ყოველდღიურად წარმართავს რაზმეულებისა და რაზმების საქმიანობას.

ამასთან ყრილობას მიაჩნია, რომ პიონერთა ორგანიზაციის მუშაობაში არის დიდი ნაკლოვანებანი. ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის მუშაობის დონე ჩამორჩება ცხოვრების მოთხოვნებს, ამოცანებს, რომლებსაც პარტია სახავს ბავშვთა კომუნისტური აღზრდის დარგში.

საბჭოთა სკოლის სოციალისტური აღმზრდელობითი მნიშვნელობის შემდგომი გადიდების ამოცანა, რომელიც პარტიის XIX ყრილობამ დასახა, კომკავშირისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციისაგან მოითხოვს უფრო აქტიურ მუშაობას, რათა აღზარდონ პიონერები და მოსწავლეები კომუნისტური პარტიის დიადი იდეების სულისკვეთებით, აღზარდონ ყოველმხრივ განვითარებული, შეგნებული, ჯანსაღი ადამიანები, კომუნისტური საზოგადოების მშენებლები, რომლებსაც არ აშინებთ სიძნელეები.

II.

ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაცია მოწოდებულია ჩაუნერგოს პიონერებს სწავლისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, მისწრაფება, რომ მუდამ ეუფლებოდნენ ცოდნას. საბჭოთა მოსწავლის მთავარი ამოცანაა კარგად ისწავლოს, იყოს დისციპლინიანი.

ამავე დროს ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი პიონერი ცუდად სწავლობს, მაგალითს არ აძლევს სწავლასა და ყოფაქცევაში სხვა მოსწავლეებს. მთელ რიგ რაზმეულებში საკმაოდ არ ზრუნავენ იმისათვის, რომ პიონერებს გამოუმუშავდეთ ნებისყოფა, გულმოდგინება სწავლაში, კოლექტივი არ ახდენს გავლენას იმ პიონერებზე, რომლებიც არასერიოზულად ეკიდებიან სწავლას, ცუდად იქცევიან გაკვეთილებზე, არ ასრულებენ საშინაო დავალებებს. სწავლისადმი შეგნებული დამოკიდებულების აღზრდა პიონერებში ხშირად წარმოებს უუნაროდ, ხოლო ზოგჯერ არასწორადაც. კმაყოფილდება უდისციპლინო დასწავლაში ჩამორჩენილ პიონერთა მარტოოდენ „დამუშავებით“. არის ფაქტები, რომ პიონერთა ორგანიზაციაში მექანიკურად გადააქვთ სასწავლო მუშაობის მეთოდები. ცალკეული პიონერხელმძღვანელები პიონერებს ავალებენ რაზმებში აწარმოონ სწავლაში წარმატების აღრიცხვა, შეამოწმონ როგორ ასრულებენ მათი ამხანაგები საშინაო დავალებებს, ბევრ რაზმში გავრცელდა ეგრეთწოდებული საგნობრივი შეკრებები, რომლებზეც პიონერები სწავლობენ სასწავლო პროგრამის ცალკეულ თემებსა და ნაწილებს, იმეორებენ გავლილ სასწავლო მასალას, ასრულებენ მასწავლებლის სასწავლო დავალებებს. ამის შედეგად ბევრი პიონერული ორგანიზაციის მუშაობა უფერულდება, ვერ აკმაყოფილებს პიონერთა მრავალმხრივ ინტერესებს.

ყრილობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პიონერთა რაზმებისა და რაზმეულების ბრძოლა მოსწავლეთა ცოდნისათვის უნდა წარმოებდეს იმ მეთოდებით, რომლებიც შეეფერება პიონერთა ორგანიზაციას, როგორც ბავშვთა თვითმოქმედ ორგანიზაციას. პიონერთა ორგანიზაცია უნდა უნერგავდეს ბავშვებს სწავლისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას, ცოდნისადმი სიყვარულსა და ინტერესს, რისთვისაც აწყობდეს პიონერთა პრაქტიკულ და წარმტაც საქმიანობას სხვადასხვა წრეში, სკოლის საცდელ ნაკვეთებზე, სასწავლო კაბინეტებში, სკოლის ლაბორატორიებში.

ტექნიკურმა შემოქმედებამ და ნორჩ ნატურალისტთა მუშაობამ პიონერებს შორის ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა პოლიტექნიკურ სწავლებას, ასწავლოს მათ მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება, ხელი შეუწყოს იმას, რომ განმტკიცდეს სკოლის კავშირი გარემო ცხოვრებასთან, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან.

საჭიროა: მე-3-4 კლასების პიონერთა უფრო აქტიურად ჩაბმა „ხელმარჯვეთა“ წრეებში, უფროსი ასაკის პიონერებისა — ელექტროტექნიკის, რადიოტექნიკის, ავიამოდელიზმისა და გემმოდელიზმის წრეებში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის წრეებში; უფრო ფართოდ გამოყენება პიონერებს შორის მუშაობის ისეთი ფორმებისა, როგორიც არის თვალსაჩინო სახელმძღვანელოების, სასწავლო ხელსაწყოების გაკეთება, ოლიმპიადების, ნორჩ მათემატიკოსთა, ფიზიკოსთა, ქიმიკოსთა, ნატურალისტთა კონკურსების, ტექნიკური შემოქმედების გამოფენების, ნორჩ ავიამოდელისტთა და გემმოდელისტთა შეჯიბრებების მოწყობა; მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებთან, მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეებთან შეხვედრების გამართვა, საწარმოებში, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში ექსკურსიების მოწყობა.

საჭიროა ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ სკოლისგარეშე დაწესებულებებში სხვადასხვა წრეების ქსელი, ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ამ წრეების მუშაობაში ჩავაბათ რაც შეიძლება მეტი ბავშვი, განვახორციელოთ სკოლისგარეშე დაწესებულებათა, პროფკავშირული და სასოფლო კლუბების ბაზაზე მასობრივი ღონისძიებანი, რომლებიც პიონერებს განუვითარებენ ინტერესს ტექნიკისადმი, ბუნების, სოფლის მეურნეობის სიყვარულს.

სამრეწველო საწარმოების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციების მოვალეობაა მეტი დახმარება გაუწიონ სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს სამუშაო ოთახებისა და კუთხეების, რადიოკვანძების შექმნასა და მოწყობაში, გამოჰყონ ტექნიკური წრეების ხელმძღვანელობისათვის კვალიფიციური ხელმძღვანელები, იზრუნონ იმისათვის, რომ წრეებს ჰქონდეთ საჭირო მასალები და ინსტრუმენტები.

ყრილობა ავალებს კომკავშირის საოლქო, სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკების ალკკ ცენტრალურ კომიტეტებს სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად უახლოეს დროში დაამთავრონ სკოლებთან და საბავშვო სახლებთან სასწავლო-საცდელი ნაკვეთების შექმნა.

წახალისებულ იქნას სკოლებსა და საბავშვო სახლებში ცოცხალი ბუნების კუთხეების შექმნა, აქტიურად ჩაბმულ იქნან პიონერები და მოსწავლეები ბაღეებისა და ყვავილნარების გასამენებლად, სკოლების ტერიტორიის გასამწვანებლად მუშაობაში. პიონერთა რაზმეულებში მოეწყოს კონკურსები საუკეთესო ნორჩ მებაღეზე, მეყვავილეზე, მებოსტნეზე, გაიმართოს საბავშვო დღესასწაულები: ფრინველის დღე, ტყის დღე, ბაღის კვირეული, მოსავლის, ყვავილების დღესასწაულები.

III.

ყრილობა აღნიშნავს, რომ ბევრი კომკავშირული და პიონერული ორგანიზაცია სუსტად მუშაობს იმისათვის, რომ გამოუმუშაოს პიონერებს საბჭოთა ადამიანების მაღალი მორალური თვისებები. ზოგიერთი პიონერი ცუდად იქცევა სკოლაში. შინ, ქუჩაში, უხეშობას იჩენს მშობლებს, მასწავლებლებს, უფროსებს მიმართ. კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები შემარიგებლურად ეკიდებიან ასეთ ფაქტებს.

კომკავშირი და პიონერთა ორგანიზაცია გადაჭრით უნდა ეწეოდნენ ბრძოლას მოსწავლეთა უდისციპლინობის, უხეშობის, სოციალისტური საკუთრებისადმი უყაირათო დამოკიდებულების ფაქტების წინააღმდეგ, არ უნდა დაუშვან, რომ ბავშვთა წრეში შეაღწიოს მავნე გავლენებმა, რელიგიურმა ცრურწმენებმა. კომუნისტური მორალის სულისკვეთებით პიონერთა აღზრდის მთელი მუშაობა უნდა აწარმოონ არა მოსაწყენი დარიგებისა და საერთო მოწოდებათა სახით, არამედ უფრო მეტად გამოიყენონ ბავშვებთან მუშაობაში მოსწავლეთა კარგი სწავლის, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის, ჩინებული ყოფაქცევის, უმცროსებისათვის ზრუნვის მაგალითები, საბჭოთა ადამიანების მამაცური და კეთილშობილური საქციელის მაგალითები.

პიონერთა ორგანიზაცია კვლავაც უნდა უნერგავდეს პიონერებს საბჭოთა პატრიოტიზმის, ხალხთა შორის მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრძნობას, ზრდიდეს მათ როგორც ერთგულ ლენინელებს, კომუნისტური პარტიის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ერთგულ ადამიანებს.

კომკავშირული ორგანიზაციები, პიონერთა რაზმები და რაზმეულები გაცილებით უფრო მეტ ყურადღებას უნდა აქცევდნენ იმას, რომ ჩაუნერგონ პიონერებს ფიზიკური შრომის სიყვარული, აქტიური მონაწილეობა მიაღებინონ სასკოლო კაბინეტების მოწყობაში, სკოლების ტერიტორიის კეთილმოწყობაში, სასპორტო მოედნების მშენებლობაში, სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთებზე მუშაობაში, სკოლების რადიოფიკაციაში. პიონერები უნდა ეხმარებოდნენ მშობლებს საოჯახო მეურნეობაში, ასრულებდნენ თვითმომსახურების სამუშაოს. საჭიროა მონაწილეობა მიაღებინონ პიონერებს საბჭოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მათი ძალღონის შესაბამისად. პიონერთა რაზმეულები და რაზმები მოვალენი არიან უჩვენონ პიონერებს ჩვენი ხალხის ყოველდღიური შრომის ჭეროიკა, გააცნონ მათ სხვადასხვა პროფესია, მოამზადონ მოსწავლენი შრომითი საქმიანობისათვის.

პიონერთა ორგანიზაცია ყოველნაირად უნდა უწყობდეს ხელს და წაახალისებდეს პიონერთა თემურულ მუშაობას დიდი სამამულო ომის დროს დაღუპული მეომრების ოჯახებისათვის, ინვალიდებისა და მოხუცებისათვის დახმარების გასაწევად.

ყრილობა ავალებს კომკავშირის საოლქო, სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკების ალკკ ცენტრალურ კომიტეტებს გააძლიერონ მუშაობა პიონერთა ფიზიკური აღზრდისათვის, იბრძოლონ იმისათვის, რომ თვითეული პიონერი ყოველდღე ასრულებდეს დილის ვარჯიშს. პიონერთა ორგანიზაციაში ყოფნისას პიონერი უნდა დაეუფლოს ლაშქრული ცხოვრების ჩვევებს, ჩააბაროს იმშთ კომპლექსის ნორმატივები.

დაევალოს კომკავშირის რაიონულ, საქალაქო, საოლქო, სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკების ალკკ ცენტრალურ კომიტეტებს, უფროს პიონერხელმძღვანელებს გააუმჯობესონ მხატვრული აღზრდა პიონერთა ორგანიზაციაში, აქტიურად გამოავლინონ და განუვითარონ ბავშვებს შემოქმედებითი ნიჭი, უფრო ფართოდ გააცნონ პიონერებს ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებნი; რეგულარულად მოაწყონ ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება, სიმღერის დღესასწაულები. პიონერებსა და მოსწავლეებს შორის მასობრივი გუნდური სიმღერის განვითარების დიდი მნიშვნელობის გათვალისწინებით, დაევალოს ხელმძღვანელ კომკავშირულ ორგანოებს ეცადონ, რომ თვითეულ საშუალო სკოლაში შეიქმნას მომღერალთა გუნდი.

IV.

ყრილობას მიაჩნია, რომ პიონერთა ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია რაზმეულებისა და რაზმების მუშაობაში თვითმოქმედების პრინციპის დარღვევა. ბევრ რაზმეულში უფროსები ცდილობენ ყველაფერი გააკეთონ პიონერების მაგივრად, პიონერხელმძღვანელები, მასწავლებლები პიონერთა აქტივს მონაწილეობას არ აღებინებენ რგოლების, რაზმებისა და რაზმეულების ხელმძღვანელობაში. ურიგდებიან პიონერთა მუშაობის მეტისმეტ რეგლამენტაციას.

ზოგიერთი კომკავშირული მუშაკი, პიონერხელმძღვანელი კარგად ვერ ითვალისწინებს ბავშვთა ასაკის თავისებურებას და პიონერთა ორგანიზაციაში გადააქვს მოზრდილებთან მუშაობის მეთოდები. წარმტაც, საინტერესო ღონისძიებათა ნაცვლად ბევრ რაზმსა და რაზმეულში აწყობენ პიონერებისათვის ძნელად გასაგებ ლექციებსა და მოხსენებებს, შეკრებებს ახდენენ „შპარგალებისა“ და „სცენარების“ მიხედვით როგორც სხდომებსა და კრებებს, პიონერები გამოდიან და კითხულობენ მოზრდილთა მიერ დაწერილ ტექსტებს.

ბევრ რაზმსა და რაზმეულში დაივიწყეს კარგი პიონერული ტრადიციები. იშვიათად იმართება პიონერთა შეკრებები, პარადები, დღესასწაულები, კოცონები, პიონერთა ადგილობრივი შეკრებები; საზეიმო ხაზები იმართება ისე, რომ არ გამოაქვთ დროშა, არ უკრავენ ბუკსა და დოლს, არ ასრულებენ პიონერულ სიმღერებს. ერთფეროვანი და მკრთალი ფორმების შედეგად და იმის გამო, რომ ბევრი პიონერული რაზმისა და რაზმეულის მუშაობა მიმზიდველი არ არის, პიონერები კარგავენ ინტერესს პიონერთა ორგანიზაციისადმი.

ყრილობა ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოების, კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა ფართოდ განავითაროონ პიონერთა ინიციატივა და თვითმოქმედება. ამოცანა ის არის, რომ უნარიანად წარმართონ პიონერთა აქტივობა, იბრძოლონ იმისათვის, რომ თვითეულ რგოლში, რაზმსა და რაზმეულში პიონერები კონკრეტულ პრაქტიკულ საქმეს ასრულებდნენ. ამასთან არ უნდა დავუშვათ პიონერთა გადატვირთვა საზოგადოებრივი მუშაობით.

რგოლების, რაზმების, რაზმეულების მუშაობის მოწყობის დროს არ უნდა დავიივიწყოთ, რომ ბავშვებს იზიდავს რომანტიკა, თამაში, ლაშაზი და წარმტაცი მეცადინეობა.

საჭიროა მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ პიონერთა შეკრებების მომზადებისა და ჩატარების ხარისხი. შეკრებაზე პიონერებმა უნდა განიხილონ წიგნები, სპექტაკლები, კინოფილმები, გვიჩვენონ თავიანთი მიღწევები ტექნიკურ, მხატვრულ შემოქმედებაში, ისწავლონ სხვადასხვა თამაში, სიმღერა, ცეკვა, დასახონ მორიგი პიონერული საქმეები. თვითეული შეკრება წარმტაცი, საინტერესო უნდა იყოს, მის მომზადებასა და ჩატარებაში თვითონ პიონერები უნდა მონაწილეობდნენ.

რჩევა მიეცეთ კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს შეეჯიბრების ელემენტები შეიტანონ პიონერთა რგოლების, რაზმების, რაზმეულების მუშაობაში სპორტის, მხატვრული თვითმოქმედების, ტექნიკური და სახვითი შემოქმედების, ნორჩ ნატურალისტთა მუშაობის ხაზით. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ პიონერული მუშაობის ცალკეულ სახეობებში მოპოვებულ წარმატებათა გამო შემოღებულ იქნას პიონერთათვის სამკერდე ნიშნები: „ნორჩი ნატურალისტი“, „ნორჩი ტექნიკოსი“, „ნორჩი ტურისტი“. იმ პიონერების, პიონერთა რაზმების, რაზმეულებისა და პიონერმუშაკებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით გამოიჩენენ თავს, დაარსდეს საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის საპატიო წიგნი. პიონერთა ორგანიზაციაში თვითმოქმედებისა და ინიციატივის შემდგომი განვითარების ამოცანა მოითხოვს გაუმჯობესდეს მუშაობა პიონერთა აქტივის აღზრდისათვის და იმისათვის, რომ ამ აქტივს გამოეუმუშავდეს პიონერთა შორის ორგანიზატორული მუშაობის პრაქტიკული ჩვევები. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა მოაწყონ პიონერთა აქტივის სწავლება, გააჩაღონ მებუკეთა, მედროლეთა, მხატვრული თვითმოქმედების ორგანიზატორთა, ფიზკულტურული მუშაობის ინსტრუქტორთა, მასობრივი გართობის მომწყობთა მომზადება.

V.

ყრილობას მიაჩნია, რომ ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი უწინარეს ყოვლისა იმით აიხსნება, რომ მის ყოველდღიურ საქმიანობას სუსტად ხელმძღვანელობენ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი, კომკავშირის საოლქო, სამხარეო კომიტეტები, მოკავშირე რესპუბლიკების ალკკ ცენტრალური კომიტეტები. ცუდად სწავლობენ და განაზოგადებენ პიონერული მუშაობის გამოცდილებას.

ბევრი კომკავშირული მუშაკი პიონერთა ორგანიზაციისადმი ინტერესს მხოლოდ მაშინ იჩენს, როცა შემთხვევა მოიტანს, სუსტად არის დაკავშირებული მასწავლებლებთან, პიონერხელმძღვანელებთან, არ დადის სკოლებში, პიონერთა ბანაკებში, სკოლისგარეშე დაწესებულებებში. პიონერებთან მუშაობაში ხაკლებად მონაწილეობენ საბრეწველო საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, მტსების, საბჭოთა მეურნეობების, სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების კომკავშირული ორგანიზაციები.

პიონერთა რაზმეულებისა და რაზმების მუშაობის წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პიონერხელმძღვანელის მომზადების დონეზე, მის ენერგიაზე — მოაწყოს მუშაობა ბავშვებთან. მაგრამ კომკავშირის ბევრი რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტი ცუდად ეწევა პიონერხელმძღვანელთა კადრების შერჩევასა და მომზადებას. ყრილობას სრულიად შეუწყნარებლად მიაჩნია, რომ მთელ რიგ რაზმეულებში არ არიან პიონერხელმძღვანელები. ხშირად პიონერულ საშუალოზე ისეთ ადამიანებს გზავნიან, რომლებსაც არა აქვთ სათანადო ზოგადსაგანმანათლებლო მომზადება, ბავშვებთან მუშაობის სურვილი და ენარი. პიონერხელმძღვანელებს ხშირად ცვლიან. სერიოზული ნაკლოვანებებია პიონერხელმძღვანელთა სწავლების ორგანიზაციაში. პიონერხელმძღვანელებს ნაკლებად ასწავლიან სხვადასხვა თამაშს, სიმღერას, ცეკვას, ბავშვებისათვის საინტერესო და სასარგებლო მეცადინეობის მოწყობის პრაქტიკას.

ყრილობა ავალებს საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, კომკავშირის საოლქო, სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკების ალკკ ცენტრალურ კომიტეტებს ბოლო მოუღონ პიონერთა რაზმეულებისადმი ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატულ მეთოდებს, გადაჭრით გააუმჯობესონ ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის საქმიანობა, უზრუნველყონ შინაარსიანი მუშაობა თვითეულ პიონერულ რაზმეულსა და რაზმში. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის სკოლებს. პიონერთა რაზმეულებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას.

ხელმძღვანელ კომკავშირულ ორგანოებს, პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებს თავიანთ პირდაპირ მოვალეობად უნდა მიაჩნდეთ — გამოჰყონ საუკეთესო კომკავშირელები პიონერხელმძღვანელებად, სხვადასხვა წრეებისა, სასპორტო სექციებისა და გუნდების ხელმძღვანელებად, პრაქტიკულად შეუწყონ ხელი შეჯიბრებათა, ექსკურსიათა, ლაშქრობათა, შეკრებათა, კოცონთა და სხვ. მოწყობასა და ჩატარებას. პიონერხელმძღვანელებად უნდა შევარჩიოთ პოლიტიკურად მცოდნე კომკავშირელები, უნარიანი მასობრივი მუშაკები და ორგანიზატორები, რომლებსაც უყვართ ბავშვებთან მუშობა. შტატის უფროს პიონერხელმძღვანელებად, როგორც წესი, უნდა მუშაობდნენ პედაგოგიური განათლების მქონე კომკავშირელები.

ყრილობა ავალებს საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების ალკკ ცენტრალურ კომიტეტებს, კომკავშირის სამხარეო კომიტეტებს, საოლქო კომიტეტებს გააუმჯობესონ პიონერხელმძღვანელის მომზადების დონეზე, მის ენერგიაზე — მოაწყოს მუშაობა ბავშვებთან. მაგრამ კომკავშირის ბევრი რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტი ცუდად ეწევა პიონერხელმძღვანელთა კადრების შერჩევასა და მომზადებას. ყრილობას სრულიად შეუწყნარებლად მიაჩნია, რომ მთელ რიგ რაზმეულებში არ არიან პიონერხელმძღვანელები. ხშირად პიონერულ საშუალოზე ისეთ ადამიანებს გზავნიან, რომლებსაც არა აქვთ სათანადო ზოგადსაგანმანათლებლო მომზადება, ბავშვებთან მუშობის სურვილი და ენარი. პიონერხელმძღვანელებს ხშირად ცვლიან. სერიოზული ნაკლოვანებებია პიონერხელმძღვანელთა სწავლების ორგანიზაციაში. პიონერხელმძღვანელებს ნაკლებად ასწავლიან სხვადასხვა თამაშს, სიმღერას, ცეკვას, ბავშვებისათვის საინტერესო და სასარგებლო მეცადინეობის მოწყობის პრაქტიკას.

ყრილობა ავალებს საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, კომკავშირის საოლქო, სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკების ალკკ ცენტრალურ კომიტეტებს ბოლო მოუღონ პიონერთა რაზმეულებისადმი ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატულ მეთოდებს, გადაჭრით გააუმჯობესონ ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის საქმიანობა, უზრუნველყონ შინაარსიანი მუშაობა თვითეულ პიონერულ რაზმეულსა და რაზმში. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის სკოლებს. პიონერთა რაზმეულებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას.

ხელმძღვანელ კომკავშირულ ორგანოებს, პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებს თავიანთ პირდაპირ მოვალეობად უნდა მიაჩნდეთ — გამოჰყონ საუკეთესო კომკავშირელები პიონერხელმძღვანელებად, სხვადასხვა წრეების, სასპორტო სექციებისა და გუნდების ხელმძღვანელებად, პრაქტიკულად შეუწყონ ხელი შეჯიბრებათა, ექსკურსიათა, ლაშქრობათა, შეკრებათა, კოცონთა და სხვ. მოწყობასა და ჩატარებას. პიონერხელმძღვანელებად უნდა შევარჩიოთ პოლიტიკურად მცოდნე კომკავშირელები, უნარიანი მასობრივი მუშაკები და ორგანიზატორები, რომლებსაც უყვართ ბავშვებთან მუშობა. შტატის უფროს პიონერხელმძღვანელებად, როგორც წესი, უნდა მუშაობდნენ პედაგოგიური განათლების მქონე კომკავშირელები.

ყრილობა ავალებს საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების ალკკ ცენტრალურ კომიტეტებს, კომკავშირის სამხარეო, საოლქო კომიტეტებს გააუმჯობესონ პიონერხელმძღვანელთა მომზადების დონეზე, მის ენერგიაზე — მოაწყოს მუშაობა ბავშვებთან. მაგრამ კომკავშირის ბევრი რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტი ცუდად ეწევა პიონერხელმძღვანელთა კადრების შერჩევასა და მომზადებას. ყრილობას სრულიად შეუწყნარებლად მიაჩნია, რომ მთელ რიგ რაზმეულებში არ არიან პიონერხელმძღვანელები. ხშირად პიონერულ საშუალოზე ისეთ ადამიანებს გზავნიან, რომლებსაც არა აქვთ სათანადო ზოგადსაგანმანათლებლო მომზადება, ბავშვებთან მუშობის სურვილი და ენარი. პიონერხელმძღვანელებს ხშირად ცვლიან. სერიოზული ნაკლოვანებებია პიონერხელმძღვანელთა სწავლების ორგანიზაციაში. პიონერხელმძღვანელებს ნაკლებად ასწავლიან სხვადასხვა თამაშს, სიმღერას, ცეკვას, ბავშვებისათვის საინტერესო და სასარგებლო მეცადინეობის მოწყობის პრაქტიკას.

ყრილობა ავალებს საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, კომკავშირის საოლქო, სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკების ალკკ ცენტრალურ კომიტეტებს ბოლო მოუღონ პიონერთა რაზმეულებისადმი ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატულ მეთოდებს, გადაჭრით გააუმჯობესონ ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის საქმიანობა, უზრუნველყონ შინაარსიანი მუშაობა თვითეულ პიონერულ რაზმეულსა და რაზმში. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის სკოლებს. პიონერთა რაზმეულებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას.

ხელმძღვანელ კომკავშირულ ორგანოებს, პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებს თავიანთ პირდაპირ მოვალეობად უნდა მიაჩნდეთ — გამოჰყონ საუკეთესო კომკავშირელები პიონერხელმძღვანელებად, სხვადასხვა წრეებისა, სასპორტო სექციებისა და გუნდების ხელმძღვანელებად, პრაქტიკულად შეუწყონ ხელი შეჯიბრებათა, ექსკურსიათა, ლაშქრობათა, შეკრებათა, კოცონთა და სხვ. მოწყობასა და ჩატარებას. პიონერხელმძღვანელებად უნდა შევარჩიოთ პოლიტიკურად მცოდნე კომკავშირელები, უნარიანი მასობრივი მუშაკები და ორგანიზატორები, რომლებსაც უყვართ ბავშვებთან მუშობა. შტატის უფროს პიონერხელმძღვანელებად, როგორც წესი, უნდა მუშაობდნენ პედაგოგიური განათლების მქონე კომკავშირელები.

ყრილობა ავალებს საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების ალკკ ცენტრალურ კომიტეტებს, კომკავშირის სამხარეო, საოლქო კომიტეტებს გააუმჯობესონ პიონერხელმძღვანელთა მომზადების დონეზე, მის ენერგიაზე — მოაწყოს მუშაობა ბავშვებთან. მაგრამ კომკავშირის ბევრი რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტი ცუდად ეწევა პიონერხელმძღვანელთა კადრების შერჩევასა და მომზადებას. ყრილობას სრულიად შეუწყნარებლად მიაჩნია, რომ მთელ რიგ რაზმეულებში არ არიან პიონერხელმძღვანელები. ხშირად პიონერულ საშუალოზე ისეთ ადამიანებს გზავნიან, რომლებსაც არა აქვთ სათანადო ზოგადსაგანმანათლებლო მომზადება, ბავშვებთან მუშობის სურვილი და ენარი. პიონერხელმძღვანელებს ხშირად ცვლიან. სერიოზული ნაკლოვანებებია პიონერხელმძღვანელთა სწავლების ორგანიზაციაში. პიონერხელმძღვანელებს ნაკლებად ასწავლიან სხვადასხვა თამაშს, სიმღერას, ცეკვას, ბავშვებისათვის საინტერესო და სასარგებლო მეცადინეობის მოწყობის პრაქტიკას.

ყრილობა ავალებს საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, კომკავშირის საოლქო, სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკების ალკკ ცენტრალურ კომიტეტებს ბოლო მოუღონ პიონერთა რაზმეულებისადმი ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატულ მეთოდებს, გადაჭრით გააუმჯობესონ ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის საქმიანობა, უზრუნველყონ შინაარსიანი მუშაობა თვითეულ პიონერულ რაზმეულსა და რაზმში. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის სკოლებს. პიონერთა რაზმეულებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას.

ხელმძღვანელ კომკავშირულ ორგანოებს, პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებს თავიანთ პირდაპირ მოვალეობად უნდა მიაჩნდეთ — გამოჰყონ საუკეთესო კომკავშირელები პიონერხელმძღვანელებად, სხვადასხვა წრეებისა, სასპორტო სექციებისა და გუნდების ხელმძღვანელებად, პრაქტიკულად შეუწყონ ხელი შეჯიბრებათა, ექსკურსიათა, ლაშქრობათა, შეკრებათა, კოცონთა და სხვ. მოწყობასა და ჩატარებას. პიონერხელმძღვანელებად უნდა შევარჩიოთ პოლიტიკურად მცოდნე კომკავშირელები, უნარიანი მასობრივი მუშაკები და ორგანიზატორები, რომლებსაც უყვართ ბავშვებთან მუშობა. შტატის უფროს პიონერხელმძღვანელებად, როგორც წესი, უნდა მუშაობდნენ პედაგოგიური განათლების მქონე კომკავშირელები.

ყრილობა ავალებს საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების ალკკ ცენტრალურ კომიტეტებს, კომკავშირის სამხარეო, საოლქო კომიტეტებს გააუმჯობესონ პიონერხელმძღვანელთა მომზადების დონეზე, მის ენერგიაზე — მოაწყოს მუშაობა ბავშვებთან. მაგრამ კომკავშირის ბევრი რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტი ცუდად ეწევა პიონერხელმძღვანელთა კადრების შერჩევასა და მომზადებას. ყრილობას სრულიად შეუწყნარებლად მიაჩნია, რომ მთელ რიგ რაზმეულებში არ არიან პიონერხელმძღვანელები. ხშირად პიონერულ საშუალოზე ისეთ ადამიანებს გზავნიან, რომლებსაც არა აქვთ სათანადო ზოგადსაგანმანათლებლო მომზადება, ბავშვებთან მუშობის სურვილი და ენარი. პიონერხელმძღვანელებს ხშირად ცვლიან. სერიოზული ნაკლოვანებებია პიონერხელმძღვანელთა სწავლების ორგანიზაციაში. პიონერხელმძღვანელებს ნაკლებად ასწავლიან სხვადასხვა თამაშს, სიმღერას, ცეკვას, ბავშვებისათ

კრემლის დიდ სასახლეში

(დასასრული)

XII ყრილობის განსახილველად შეიტანა საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა.

ახალი ამოცანები, რომლებიც დაუსახა პარტიამ კომკავშირს, ამბობს საკავშირო ალკკ მოსკოვის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ვესელოვი, დიდ მოთხოვნებს უყენებს საკავშირო ალკკ თვითეულ წევრს.

ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება შეიქმნას კომისია, რომელიც შეიმუშავებს წინადადებებს საკავშირო ალკკ წესდების ცვლილებათა შესახებ. კომისია აირჩიეს 35 კაცის შემადგენლობით.

ტრიბუნაზეა მონღოლეთის ახალგაზრდობის რევოლუციური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **იადამსურენი**, რომელსაც ყრილობის დელეგატები გულთბილად შეხვდნენ. მან წაიკითხა მონღოლეთის ახალგაზრდობის რევოლუციური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელი წერილი და საკავშირო ალკკ XII ყრილობას გადასცა დროშა — საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის ახალგაზრდობის ურღვევი მეგობრობის ნიშანი.

სიტყვა ეძლევა ფინეთის ახალგაზრდობის დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარეს **მარკუს კაინულაინენს**, რომელსაც დელეგატები ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. ფინეთის პროგრესული ახალგაზრდობა, ამბობს იგი, გამსჭვალულია დიდი საყვარულით საბჭოთა კავშირისა და მისი ხალხისადმი, რომელიც ფაშიზმის წინააღმდეგ გმირული ბრძოლით შექმნა პირობები ფინეთის პროგრესულ ძალთა განვითარებისათვის. მარკუს კაინულაინენმა ყრილობას მიართვა ფინეთის ახალგაზრდობის დემოკრატიული კავშირის სალამი.

ახალგაზრდობის ლიგის „ევრიკას“ (ავსტრალია) ახალგაზრდობის სახელით ყრილობის დელეგატებს, საბჭოთა ახალგაზრდობას მხურვალე მეგობრობის სალამი გადასცა ლიგის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ჩარლზ ბრესლენდმა**. დარბაზის ტაშის გრიალში მან პრეზიდიუმს გადასცა ახალგაზრდობის ლიგის დროშა.

შვეიცის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ახალგაზრდობის საკითხებში **ურბან კარლსონი** საკავშირო ალკკ XII ყრილობას მიესალმა შვეიცის პროგრესული ახალგაზრდობის სახელით. როცა, თქვენი ყრილობიდან დაგბრუნდებით, თქვა მან, ჩვენ ვუამბობთ ჩვენს ახალგაზრდობას, თუ როგორ ქმნის საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობა მშვიდობიანი შრომით კიდევ უფრო ბედნიერ მომავალს. ყრილობის დელეგატები კარლსონს სიტყვებს ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

XII ყრილობის 25 მარტის საღამოს სხდომაზე ამხ. კორემასოვის მოხსენების გამო გამოვიდნენ ამხანაგები **იბრაგიმოვი**, — უზბეკეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, **დავიდენკო**, — საკავშირო ალკკ ვოლგოდის საოლქო კომიტეტის მდივანი, — **დროზდენკო**, — უკრაინის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, **შირამიდოვი**, — თურქმენეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, **მაკაროვი**, — საკავშირო ალკკ უდმურტეთის საოლქო კომიტეტის მდივანი. მათ თავიანთი დელეგაციების სახელით მოიწონეს ის წინადადებები კომკავშირის წესდების ცვლილებათა შესახებ, რომლებსაც მოხსენება შეიცავს.

საკავშირო ალკკ წესდების შესახებ წინადადებათა შემმუშავებელი კომისიის ინფორმაციის მოსმენის შემდეგ ყრილობა იღებს გადაწყვეტილებას — დამტკიცდეს წესდება კომისიის შესწორებებითა და დამატებებით.

ტრიბუნაზეა კანადის მუშა ახალგაზრდობის ეროვნული ფედერაციის თავმჯდომარე **ნორმან ბენერი**. კანადის პროგრესული ახალგაზრდობა, ამბობს ის, ამაყობს იმით, რომ მისი წარმომადგენლები ჩამოვიდნენ მოსკოვს და კრემლის დიდ სასახლეში ესწრებიან საკავშირო ალკკ XII ყრილობას. დარბაზის ტაშის გრიალში ნორმან ბენერმა პრეზიდიუმს გადასცა კანადის მუშა ახალგაზრდობის ეროვნული ფედერაციის დროშა.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ყრილობის მისასალმებლად მოვიდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების დელეგაცია.

დელეგატები და სტუმრები ფეხზე დგებიან და აღტაცებით ხვდებიან საბჭოთა მეომრებს. მეომრები მარშის ხმაზე მოდიან საბრძოლო დროშებით. წინ არის სახელგანთქმულ ოფიცერთა — საბჭოთა კავშირის გმირთა დიდი ჯგუფი.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საჰაერო ძალების სახელით ყრილობას მიესალმა სამგზის საბჭოთა კავშირის გმირი, ავიაციის გვარდიის გენერალ-მაიორი **კოჟედუბი**. კომუნისტების მაგალითისამებრ, ამბობს ამხ. კოჟედუბი, არმიის კომკავშირელები, ისევე როგორც ომის წლებში, ყველა მეომრისათვის არიან სამხედრო ფიცის შესრულების, მხედრის მოვალეობისადმი ერთგულების ნიმუში. საბჭოთა არმიის კომკავშირელები და ახალგაზრდა მეომრები საკავშირო ალკკ XII ყრილობას შეხვდნენ ახალი მიღწევებით საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში. საბჭოთა ხალხს შეუძლიან დარწმუნებული იყოს, რომ საბჭოთა მეომრები მუდამ მზად არიან პარტიისა და მთავრობის მოწოდებით გამოვიდნენ სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. ორატორის ამ სიტყვებს ყრილობის დელეგატები და სტუმრები მჭუხარე ტაშით ეგებებიან.

ტრიბუნაზეა ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, I რანგის კაპიტანი **შაბალინი**. მან საკავშირო ალკკ XII ყრილობას გადასცა მატროსების, ზემდებების, ოფიცრებისა და ადმირალების საბრძოლო სალამი.

წლითიწლობით მტკიცდება მეგობრობა სამხედრო მეზღვაურებსა და კომკავშირს შორის, ამბობს ამხ. შაბალინი. 30 წელზე მეტია კომკავშირი შეფობას უწევს სამხედრო-საზღვაო ფლოტს, აქტიურად მონაწილეობს საბრძოლო ხომალდების, ნაწილებისა და სამხედრო-საზღვაო სასწავლებლებისათვის მცოდნე, ფიზიკურად გამოწრთობილი, სამშობლოსადმი უსაზღვროდ ერთგული შეკვლების მომზადებაში. კომკავშირის ათასობით გამოჩრდილი გახდა ფლოტის ადმირალი, გენერალი და ოფიცერი. ისინი გვიჩვენებენ სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურის, რთული საბრძოლო ამოცანების სანმუშოდ შესრულების მაგალითებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კომკავშირი კვლავაც ჩაუნერგავს **ახალგაზრდობას სამხედრო-საზღვაო სამსახურის** საყვარულს.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების დელეგაცია სამხედრო ორკესტრის ჯოიალში ტოვებს დარბაზს. დელეგატები მჭუხარე ტაშით მიაცილებენ მას.

სიტყვა ეძლევა ბელგიის სახალხო ახალგაზრდობის კავშირის გენერალურ მდივანს **რენე ვერდოოტს**. მან დელეგატების ტაშის გრიალში გადასცა პრეზიდიუმს დროშა, რომელსაც ფერია სიტყვები: „ბელგიელი ახალგაზრდობა არასოდეს არ ითმენს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“, გადასცა აგრეთვე სკულპტურული პორტრეტი ბელგიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის ჟულიენ ლიაისი, რომელიც იმპერიალიზმის ფაშისტმა დაჭირავებულმა აგენტებმა მხეცურად მოკლეს.

საბერძნეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა **ფარაკოს გრიგორისმა**, რომელსაც ყრილობის დელეგატები მხურვალედ შეხვდნენ, თავისი ქვეყნის ახალგაზრდობის სალამი გადასცა საბჭოთა ქალშვილებსა და ჰაბუკებს.

მისასალმებლად სიტყვას ამბობს დანიის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **ინგმარ ვაგნერი**, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. მან ყრილობას მოუძღვნა დანიელი ხალხის დიდი შვილის, საბჭოთა ახალგაზრდობის ერთ-ერთი საუკეთესო მეგობრის, მწერალ მარტინ ანდერსენ ნექსეს ორი წიგნი და პირადი სალამი. (საკდესი).

კედლების დარგვა ქალაქ რუსთავის ცენტრალურ პროსპექტზე.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

რუსთავის მწვანე სამოსელი

რუსთავი. (საკ. კორ.). მეტალურგთა ქალაქში ყოველწლიურად სულ უფრო ფართოვდება გამწვანების სამუშაოები. წელს რუსთავის ტერიტორიაზე 120 ათასი ხე და ბუჩქი დაირგვება.

ამ დღეებში გამწვანების სამმართველოს მუშაკები შეუდგნენ ხეების დარგვას. ქალაქში შესასვლელ ნაწილთან მდებარე ფართო მოედნის ირგვლივ უკვე დარგულია ათობით ძირი მრავალწლიანი ხე და ბუჩქი. ასეთივე ხეები ირგვება მეტალურგთა კულტურის სასახლესთან, ახალ ბაღში, რომლის ფართობი 3,5 ჰექტარი იქნება. მტკვრის მარჯვენა ნაპირას კი, სადაც არც თუ ისე დიდი ხანია დაიწყო სოციალისტური ქალაქის მეორე ნაწილის მშენებლობა, უკვე დარგულია 2.000 ძირი ათწლიანი ელდარის ფიჭვი.

საგარეუბნო კურორტებზე

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის „საკურორტო სამმართველო შეუდგა საგარეუბნო კურორტების მომზადებას სეზონისათვის.

კოჯორში, წყნეთში, კიკეთში, მანგლისში, უძიოზე, კუმისის ტბაზე და სხვ. დაწყებულია სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების სარემონტო სამუშაოები. უკვე დამთავრდა კოჯორში ბავშვთა სანატორიუმის კაპიტალური რემონტი. მიღებულია ზომები კურორტების ელექტროშუქით შეუფერხებელი მომარაგებისათვის.

დიდი მასშტაბით მიმდინარეობს საგარეუბნო კურორტების კეთილმოწყობა-გამწვანება, შიდაგზების შეკეთება. გაყვანილ იქნება ახალი გზა კიკეთი-სამადლო, კურორტების ტერიტორიაზე დაირგვება ორი ათასზე მეტი დეკორაციული ხე და ხეხილი და 40.000-მდე ძირი ბუჩქი და ყვავილი.

წელს საგარეუბნო კურორტების რემონტსა და კეთილმოწყობაზე ნახევარ მილიონამდე მანეთი დაიხარჯება.

ნ. მ. შვერნიკის გამოსვლა

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს სესიის 24 მარტის სხდომაზე

ვენა, 25 მარტი. (საკდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს სესიის გუშინდელ სხდომაზე პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივნის ლუი საიანის მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდა ამხ. ნ. მ. შვერნიკი. მან თქვა:

ამხანაგებო!

პროფკავშირთა III მსოფლიო კონგრესს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მუშათა მოძრაობის განვითარებაში.

მესამე კონგრესის შემდეგ მომხდარი ამბები მოწმობენ, რომ გაძლიერდა მშრომელი მასების მოძრაობა გამალებული შეიარაღებისა და ახალი მსოფლიო ომის მომზადების პოლიტიკის წინააღმდეგ.

მსოფლიოს მშრომელი და პროგრესული ადამიანების ძალების კონსოლიდაციის ამ პირობებში ყველაზე რეაქციული წრეები ეფარებიან მშვიდობის დაცვის ლოზუნგებს და ილამჭრებენ ხალხთა მისწრაფების წინააღმდეგ — მიიღწიონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

ხალხთა მზარდმა მოძრაობამ სადავო საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის უდიდესი კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობები აიძულა მიეღოთ საბჭოთა კავშირის წინადადება ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევის შესახებ.

ბერლინის თათბირმა ყველა ქვეყნის მშრომელთა ყურადღება მიიპყრო.

მილიონობით ადამიანს სწორედ საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების კონკრეტულ ღონისძიებათა გამომუშავება მიაჩნდა ბერლინის თათბირის ძირითად ამოცანად და აზრად.

საბჭოთა კავშირმა, რომელიც განუხრელად ახორციელებს მშვიდობის პოლიტიკას, ბერლინის თათბირზე შეიტანა მთელი რიგი წინადადებანი, მოქმედი ფართო და კონკრეტული პროგრამა, რომლის მიზანია გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგება.

საბჭოთა კავშირმა, როგორც ცნობილია, წინადადება წამოაყენა მოეწყოს ხუთი სახელმწიფოს თათბირი საერთაშორისო ურთიერთობაში გადაუჭრელი საკითხების განსახილველად და მოწვეულ იქნას 1954 წელს მსოფლიო კონფერენცია შეიარაღების საყოველთაო შემცირებისათვის.

დასავლეთის სახელმწიფოები გამალებული შეიარაღების იმ პოლიტიკის გამო მზარდი უკმაყოფილების ზეგავლენით, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტური წრეები ახორციელებენ, და საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის მზარდი პოპულარობის ზეგავლენით, რომელიც შეეფერება მშრომელ ადამიანთა ინტერესებს, იძულებული გახდნენ დათანხმებულიყვნენ, რომ ჟენევაში მოეწყოს თათბირი ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ინგლისის, სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და დაინტერესებული ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობით, რათა მოწესრიგდეს კორეის საკითხი და განხილულ იქნას ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხი.

ბერლინის თათბირზე მიღწეულ იქნა აგრეთვე შეთანხმება ომის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობები მიიღებენ ღონისძიებებს, რათა ხელი შეუწყონ განიარაღების პრობლემის წარმატებით გადაჭრას ან, ყოველ შემთხვევაში, შეიარაღების მნიშვნელოვან შემცირებას.

საბჭოთა კავშირმა შეიტანა მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი გერმანიის საკითხზე.

მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა უარყვეს ეს წინადადებანი. მათ უარყვეს აგრეთვე ევროპაში კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც საბჭოთა კავშირმა შეიტანა.

დასავლეთის სახელმწიფოებმა, რომლებიც ესწრაფვიან გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებას, უარყვეს საბჭოთა წინადადება ავსტრიის საკითხზე.

ბერლინის წარსულ თათბირს და საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის უშუალო კონტაქტის განახლებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

იმპერიალისტური ძალები ახორციელებენ არა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, არამედ თავიანთი აგრესიული პაქტებისა და ბლოკების შემდგომი გაძლიერებისა და გაფართოების, ყოველგვარი სამხედრო კავშირებისა და დაჯგუფებების შექმნის პოლიტიკას. ამერიკის დიპლომატიას ეშინია საფრთხეში ჩააყენოს შეიარაღების პროგრამა და ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება“, გერმანიის აღორძინებული ვერმახტის მეთაურობით.

ახალი ომის მომზადებისა და გაჩაღების ასეთი პოლიტიკა ყველა ქვეყნის მშრომელთა და მშვიდობისმოყვარე ხალხთა წინააღმდეგობას იწვევს.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის და ამ ფედერაციაში შემავალი პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანის არის, რომ კიდევ უფრო აქტიური და შეტევითი გახადონ მუშათა კლასის ბრძოლა გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, ბონისა და პარიზის ხელშეკრულებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ, ევროპის სახელმწიფოთა აგრესიულ დაჯგუფებაში გერმანიის შეყვანის წინააღმდეგ.

პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესმა ნათლად განსაზღვრა საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის პოზიცია. ევროპის ქვეყნების მუშებისა და პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი თავის მიმართვაში კონგრესი მოუწოდებდა ევროპის მშრომელებს — ხელი შეუშალონ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების საშინელი გეგმების განხორციელებას, არ დაუშვან ჰიტლერული ვერმახტის აღდგენა და ევროპის სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფების შექმნა.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა უნდა გახდეს ღვიძილი საქმე მილიონობით მშრომელი ადამიანისა, რომელთაც უშუალოდ აწევთ შეიარაღების მძიმე ტვირთი.

გამალებული შეიარაღება, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მრეწველობის მონოპოლიებმა გაიჩაღეს, მეტისმეტად მძიმე ტვირთად დააწვა კაპიტალისტური სახელმწიფოების ბიუჯეტებს, გააღიდა გადასახადები და ფასები, კიდევ უფრო გააუარესა მშრომელთა ფართო ფენების მატერიალური მდგომარეობა.

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოახლოვებული ეკონომიური კრიზისი დამლუპველ გავლენას ახდენს სხვა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაზე.

კრიზისის მოვლენების მაჩვენებელია წარმოების შემცირება, უმუშევრობის ზრდა, ხელფასისა და მოსახლეობის მყიდველობითი უნარის შემცირება.

გამალებულ შეიარაღებასთან დაკავშირებით კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა მდგომარეობის გახუწყვეტელი გაუარესება, კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში ხალხთა შემდგომი გალატაკება პროფკავშირების წინაშე აყენებს პასუხსაგებ ამოცანას — კიდევ უფრო გააქტიურონ მუშათა კლასის ბრძოლა თავისი სასიცოცხლო უფლებებისათვის, საარსებო მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის. მუშათა მოძრაობა სულ უფრო სცილდება შეზღუდული მოთხოვნებისათვის ადგილობრივი ბრძოლის ვიწრო ფარგლებს და იღებს დემოკრატიული თავისუფლებებისათვის, ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის მასების მოძრაობის ინტერნაციონალურ ხასიათს.

ფართო გამოხმაურება და მხარდაჭერა, რომელიც ჰპოვა პროფკავშირების მესამე მსოფლიო კონგრესმა, იმას მოწმობს, რომ მშრომელებმა იგი შეაფასეს როგორც დიდმნიშვნელოვანი წვლილი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში. საბჭოთა კავშირის მშრომელები უდიდესი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს მის მუშაობას.

კონგრესის დამთავრების შემდეგ ჩვენი ქვეყნის ქალაქებში, მუშათა დაბებსა და უდიდეს საწარმოებში გაიმართა კრებები, პროფკავშირული აქტივები, შეხვედრები კონგრესის მონაწილეებთან.

მოსკოვში, სტალინგრადში, ტაშკენტსა და სხვა ქალაქებში მუშათა კრებებსა და პროფკავშირულ აქტივებს ათეულ ათასობით მშრომელი დაესწრო.

ამ კრებებზე მიღებულ მრავალ რეზოლუციაში გამოთქმულია მხურვალე

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ხალხის ძალა

ლენინური გაზეთის „ვპერიოდის“ 1905 წლის 29 მარტის ნომერში ასეთ სტრიქონებს წაიკითხავთ:

„ჩვენ ქართველები, რუსები, სომხები, თათრები — ყველანი ძმები ვართ, ჩვენ ერთმანეთს არ წავეკიდებით, ტყუილად ნუ ცდილობს ამას მთავრობა. აუწერელია ჩვენი საშინელი მდგომარეობა. ვის შეუძლია დაკმაყოფილოს ჩვენი საჭიროებანი. ვინ გაიგონებს ჩვენს ხმას. არა ის ძველი მთავრობა, რომელიც არასოდეს არ გვაქცევდა ყურადღებას, რომელიც გვტანჯავდა. ჩვენი მოთხოვნები კერძო, მარტო ქართული მოთხოვნები როდია. ამას მოითხოვს მთელი რუსეთი. ჩვენ ვეუერთდებით ჩვენს რუს მოძმეებს. ჩვენი დაკმაყოფილება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა ხალხი საყოველთაო, პირდაპირი, ფარული და თანასწორი კენჭისყრით აირჩევს თავის წარმომადგენლებს, მხოლოდ ასეთი მთავრობა იქნება ნამდვილი მთავრობა, მხოლოდ ხალხის ხმა არის სამართლიანი და პატიოსანი. ქვეყანა ხალხის ხელში უნდა იყოს“.

ისკრული არის ეს სტრიქონები, კოლონად რომ იქცა ნაპერწკლიდან. მთის არწივის მიერ ნასროლი ისარია, რომელმაც გულმკერდი შეუხვრია თვითმპყრობელობას. აქ კომუნიზმის იდეაა, რომელიც ჩირაღდნად აანთო მგზნებარე კოლხიდელმა, და ეს სტრიქონები ამბოხებული გურული გლეხების მანიფესტად არის ცნობილი.

„ტკვენ კარგი ხალხი კოფილხართ, მაგრამ ტავი ცოტა გაცხელებული გკონიატ“ — ამ დამტვრეული ქართულით ელაქუცებოდა გურულ გლეხებს ამ მოთხოვნათა პასუხად ამიერკავკასიის მთავარმართებლის მიერ გურიის დასაშმშვინებლად გაგზავნილი შუამავალი ბრიმ-გირეი.

მაგრამ თვითმპყრობელობის სატრაპები მალე დარწმუნდნენ, რომ ვერც ლაქუცით და ვერც ცეცხლითა და მახვილით ვერ მოდრეკდნენ ამბოხებულ გურიას, რომელიც რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური იდეებით იყო გამსჭვალული.

აუ ანყება! აჯანყება! — იყო მოწოდება. და მალე გურულმა წითელრაზმელებმა ოზურგეთის მაზრის უფროსს ლაზარენკოს ნასაკირალთან ალყა შემოარტყეს „მარსელიოზის“ სიმღერით და სისხლის მორევში შეაცურეს მისი პლასტუნები. მშიერ-მწყურვალი გურია შეიკუმშა ერთ მძლავრ მუშტად თვითმპყრობელობის კარიბჭეების დასალეწავად. ეს იყო მაშინ, როდესაც, გაზეთ „ცნობის ფურცლის“ კორესპონდენტის სიტყვით რომ ვთქვათ, „დვაბზუდან დაწყებული ოზურგეთამდე ერთი-ორი სახლი თუ კინკილებდა, თორემ დანარჩენი სულ გადამწვარი იყო“.

რამდენ სისხლად, რამდენ ცეცხლად უნის ჩვენს ქვეყანას ეს ლენინურ-ისკრული მოთხოვნები? რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა იმას, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას გაემარჯვენა, სოციალიზმის ერა დაწყებულიყო და ოქროს ასოებით აღბეჭდა ჩვენს ხალხს თავისი გმირული ბრძოლის შედეგები სოციალიზმის დიდ ქარტიაში... და რა „სასიამოვნო და სასიხარულოა ვიცოდეთ, რომ სისხლს, რომელიც უხვად დაღვარეს ჩვენმა ადამიანებმა, ამაოდ არ ჩაუღლია, რომ მან თავისი შედეგები მოგვცა“.

ხალხის მიერ დაღვრილ სისხლს რომ ამაოდ არ ჩაუღლია, ამას ისიც ადასტურებს, რომ მახარაძის რაიონში ამჟამად არსებული 31 კოლმეურნეობა ყველა მილიონერია, ცალკეულ კოლმეურნეობათა შემოსავალი 3-დან 11 მილიონს აღწევს, რომ გასულ წელს 1952 წელთან შედარებით კოლმეურნეობათა საერთო შემოსავალი 12 მილიონი მანეთით გაიზარდა. განუყოფელი ფონდების ოდენობა კოლმეურნეობებში 1954 წლის 1 იანვრისათვის 230 მილიონ მანეთს შეადგენდა. კოლმეურნეობათა მილიონერობა უკვე განვლილი ეტაპია. რაიონში 17 მილიონერი საკოლმეურნეო ბრიგადაა.

განუხრელად იზრდება კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება. გასულ წელს ერთ შრომადღეზე რაიონში საშუალოდ გაიცა 21 მანეთზე მეტი, ხოლო ჯუმათის, მელექედურის, ძიმითის, ნაგომრისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა ერთ შრომადღეზე 30-32 მანეთი გასცეს. ძიმითელი კოლმეურნის ელპიტი მგელაძის ოჯახმა გასულ წელს 1.668 შრომადღე გამოიმუშავა, მიიღო ფულად 64 ათასი მანეთი. ასეთი ოჯახი რაიონის კოლმეურნეობებში მრავალია.

რაიონის კოლმეურნეობათა შემოსავლის მთავარ წყაროს და სოფლის მეურნეობის წამყვან კულტურას ჩაი წარმოადგენს. მას 8.050 ჰექტარი ფართობი უჭირავს. პლანტაციების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების შედეგად ჩაის ფოთლის მოსავლიანობა ყოველწლიურად იზრდება. გასულ წელს რაიონის მშრომელებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 21.938 ტონა ჩაის ფოთოლი, ანუ 2.028 ტონით მეტი 1952 წელთან შედარებით. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 3.600 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

სოფლის მეურნეობის მრავალფეროვან დარგებთან ერთად რაიონში ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე მძლავრი მრეწველობაც შექმნა. რაიონის სამრეწველო საწარმოებმა გასულ წელს გამოუშვეს 355 მილიონი მანეთის პროდუქცია, ანუ 41 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე 1952 წელს.

ამ ერთი რაიონის მაგალითიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რა ბარაქის, რა დოვლათის შექმნა შეუძლია თავისუფალი ხალხის შემოქმედებით შრომას. მილიონერები უოლსტრიტელებიც არიან. განსხვავება ის არის, რომ მათი მილიონები ხალხის ჟლეტას ხმარდება, ჩვენი კი — ხალხის კეთილდღეობას.

* * *

კითხულობთ დღეს აჯანყებული გურული გლეხების მანიფესტში ჩაწერილ ლენინურ-სტალინურ სტრიქონებს და გული სიამით ივსებათ, როცა თვალი ხედავთ, რომ ყველაფერი, რისთვისაც კაჟიანი თოფით ხელში იბრძოდნენ ფირალად გასული გურული გლეხები, მიღწეული და განხორციელებულია.

ქვეყანა ხალხის ხელშია... და ამ დღეებში ჩვენმა გამარჯვებულმა ხალხმა საზეიმო ვითარებაში საყოველთაო, პირდაპირი, ფარული და თანასწორი კენჭისყრით ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში აირჩია ხალხის საუკეთესო შვილები, რომელთა შორის არის გივი აკაკის-ძე წითლიძეც.

ვისი შვილია იგი? ოდესღაც ულუკმაპურო, დღეს ბედნიერი ცხოვრებით გალაღებული მახარაძელი გლეხის აკაკი წითლიძისა.

აბა სცადონ ამერიკელმა ბიზნესმენებმა და თავიანთ მოსყიდულ ღიპიან სენატორს შეადარონ მახარაძელ მილიონერთა ეს დეპუტატი. რას დაუწუნებენ? ახოვანებას, განიერ მხარბეჭს თუ არწივისებურ გამოხედვას? თუ სურთ რინგზეც სცადონ კრივში ან ფეხბურთში ან ჭიდაობაში. იქნებ სოლოლაში გამოიყვანონ თავიანთი ფალავანი და შეახვედრონ ალექსანდრე ნეველის ორდენის კავალერს გივი აკაკის-ძე წითლიძეს, რომელმაც დიდი სამამულო ომის დროს თავისი მებრძოლებით ქვა ქვაზე დაადგა დანციგის მისადგომებთან და მუსრი გაავლო ჰიტლერელ არამზადებს. გაბედავენ კი!? ფულით გვაჯობებენ? წავიდა ის დრო. ვერც ფულით და ვერც ქონებით ვეღარ გაგვაკვირვებენ ამერიკელი ბიზნესმენები.

გივი აკაკის-ძე წითლიძე მახარაძის რაიონის მრავალჯერ გადამწვარ-გადაბუგული ნატანების, ახლა მობბინე ჩაის პლანტაციებით მწვანედ ახავერდებული სოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა. კოლმეურნეობამ მისი ხელმძღვანელობით გასულ წელს 10 მილიონ 300 ათას მანეთზე მეტი შემოსავალი მიიღო. ერთ შრომადღეზე გასცა ფულად 20 მანეთი და 6 კილოგრამი მარცვლეული.

თუ სამამულო ომში გივი წითლიძე გმირულად იბრძოდა, ახლა იგი ხელმძღვანელობს კოლმეურნეობის 22 ბრიგადას, რომლებშიც განაწილებული ჰყავს 2.181 მუშახელი — უხვი მოსავლისათვის მებრძოლი ენთუზიასტები.

ხომ არ გაუჭირდება ასეთი დიდი და რთული მეურნეობის ხელმძღვანელობა ომის ქარცეცხლში გამოწრთობილ ვაჟკაცს! რათ უნდა გაუჭირდეს, როდესაც გვერდში უდგას 18 სოციალისტური შრომის გმირი: დარეჯან ტაკიძე, ლოლა გოგოტიშვილი, ლიუდი ხურციძე, ივანე გორგილაძე, კასიანე თავაძე, პარმენ თავაძე, ვლადიმერ ცენტერაძე, ვალერიან ბაბილოძე და სხვები. გივი კარგად იცნობს ამ კოლმეურნეობის ავკარგს. იგი აქ მუშაობდა საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივნად და მისი ფხიზელი პარტიული თვალი რომ დაეტყო კოლმეურნეობას, ამიტომაც დააწინაურეს იგი საქართველოს კომუნისტური პარტიის მახარაძის რაიკომის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგედ. და შემდეგ იგი ისევ თავის კოლმეურნეობას დაუბრუნდა.

* * *

გაზაფხულია. ახლა რა სჯობს მზის სხივებით გაბრწყინებული, თოვლით დაფარული გურიის მთების ნახვას, თეთრნაბადმოსხმულ გოლიათებივით რომ სდარაჯობენ ჩაისა და ციტრუსების მობბინე პლანტაციებს. მათს მყუდროებას აღარ არღვევს ტყედ გაჭრილ ფირალთა მაჭახელების ხმა. დამშვიდებულა მეამბოხე გურია, რომელსაც თავისი ბრძოლით აღტაცებაში მოუყვანია რევოლუციის გენიოსი დიდი ლენინი, მხატვრული სიტყვის ჯადოქრები: მაქსიმ გორკი, ლევ ტოლსტოი. იგი თავისი ბრძოლის ნაყოფს იმკის.

გაჰყევით კვიპაროსების ხეივნებს მოასფალტებული გზით და იგი მიგიყვანთ მშვენიერ სასახლემდე, რომელიც თბილისის რუსთაველის პროსპექტსაც დაშვენდებოდა. ეს 24-ოთახიანი ორსართულიანი მონუმენტური შენობა მნახველს ხიბლავს თავისი შესანიშნავი ჩუქურთმებით და ოქროს ორნამენტებით. ამ შენობას აღტაცებაში მოუყვანია ჩვენი მოძმე სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების წარმომადგენლები, ჩვენი ჩინელი და კორეელი მეგობრები, რომლებიც სტუმრად ყოფილან აქ ჩვენი მიღწევების გასაცნობად და გამოცდილების მისაღებად. რომელ თავადს, რომელ გურიელს, რომელ ნაკაშიძეს ჰქონია ოდესმე ასეთი სასახლე! იგი ეკუთვნის ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობას და აქ თავისი სამუშაო კაბინეტი აქვს ხალხის მსახურს, მილიონერთა დეპუტატს გივი წითლიძეს, რომელსაც გაკრიალებული „ზიმი“ ელოდება სასახლის წინ.

სიხარულით გულატაცებული მივყვები მარმარილოს კიბის საფეხურებს, აღტაცებული ვათვალიერებ სასახლის ჩუქურთმებს და მოვარაყებულ მოკაზმულობას. სადა ვარ, სად! ვეღარ ვცნობ მშობლიურ მხარეს. ეს ხომ ის ადგილია, სადაც კამეჩი დაიმალებოდა წუმპეში, სადაც ბარდ-ეკალი ისე იყო მოდებული, რომ ჩიტი კურკანტელს ვერ გაიტანდა!

თავის კაბინეტში იშვიათად ნახავთ გივის. იგი მეტწილად პლანტაციებშია, იქ, სადაც კოლმეურნეთა მადლიანი მარჯვენა ტრიალებს და თუ დღეს იგი კაბინეტშია, ეს იმიტომ, რომ ბრიგადირები ჰყავს მოწვეული სათათბირო დარბაზში, რომ მოისმინოს მათი მოსაზრებანი და გადაისროლოს დამბმარე ძალები იმ უბნებზე, სადაც შედარებით ჩამორჩენა საგაზაფხულო სამუშაოები. თათბირის მოლოდინშიც იგი დროს არ ჰკარგავს, წიგნს უზის და ბლოკნოტში შეაქვს ახალი ჩანაწერები. მის მაგიდაზე ნახავთ მიჩურინის, ლისენკოს შრომებს. გივი სასოფლო-სამ

ნ. მ. შვერნიკის გამოსვლა

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს სესიის 24 მარტის სხდომაზე

(დასასრული)

მოწონება მუშათა კლასის ერთიანობისა, რომელსაც განუხრელად ახორციელებს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია.

ჩვენი ქვეყნის მუშებმა და მოსამსახურეებმა ერთსულოვნად მოიწონეს კონგრესის გადაწყვეტილებანი და გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია დარაზმავს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ფართო მასებს მის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

ამოცანა ის არის, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ კონგრესის მიერ შემუშავებული პროგრამის გარშემო გააერთიანოს მშრომელები, რომლებიც სხვადასხვა მიმართულების პროფკავშირებში შედიან. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა, რომ პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებანი გავაცნოთ მუშათა ფართო მასებს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც პროფკავშირულ მოძრაობას სათავეში უდგანან რეფორმისტული პროფლიდერები, რომლებიც ყოველი ღონისძიებით უშლიან ხელს იმას, რომ კონგრესის ცოცხალმა სიტყვამ შეაღწიოს ფაბრიკა-ქარხნებში, მაღაროებსა და შახტებში, — ყველგან, სადაც არიან მშრომელი მასები, რომლებსაც ექსპლოატაციას უწევს კაპიტალიზმი.

ეს მით უფრო საჭიროა, რომ მუშათა კლასის მტრები ყოველნაირად ცდილობენ დაამახინჯონ კონგრესის გადაწყვეტილებანი და ცილი დასწამონ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას.

„თავისუფალ“ პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაციის ლიდერებმა ამ ბოლო დროს გააქტიურეს გამთიშველი საქმიანობა. კონფედერაციის თავმჯდომარემ ბეკუმ იანვრის დამლევს გააკეთა პროვოკაციული განცხადება, რომელიც შეიცავდა უხეშ გამოხდომებსა და ცილისწამებას პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მიმართ.

„თავისუფალ“ პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაციის ხელმძღვანელებმა კონფედერაციაში შემავალ პროფკავშირთა ცენტრებს მისცეს მითითება არ უპასუხონ მესამე კონგრესის „ღია წერილს“, არ იქონიონ ურთიერთობა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციასთან.

ჩვენ უნდა ვამხილოთ ეს ახალი პროვოკაცია გამთიშველებისა, რომლებიც პროფკავშირთა ერთიანობის ჩაფუშვის საქმეში ცილს სწამებენ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას.

ამიტომ მიზანშეწონილი იქნება გამოვაქვეყნოთ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს განცხადება, რომელშიც ვამხილოთ „თავისუფალ“ პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაციის ლიდერების გამთიშველი პოლიტიკა.

მინდა აღმასრულებელი ბიუროს წევრთა ყურადღება მივაქციო ამ კონფედერაციის ლიდერების ანტიმუშური ძირგამმთხრელი საქმიანობის ზოგიერთ ფაქტს. ისინი ამერიკის აგრესიული წრეების პოლიტიკას ახორციელებენ.

ავიღოთ თუნდაც ისეთი საკითხი, როგორიც არის დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ვაჭრობის გაფართოება. ამ ვაჭრობის განვითარება ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და უწინარეს ყოვლისა გავლენას მოახდენს მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე.

დასავლეთ ევროპის ზოგიერთი მთავრობის წრეებიც კი აღიარებენ, რომ საჭიროა ვაჭრობის გაფართოება, რაც განამტკიცებს ხალხთა შორის მშვიდობის მოყვარულ ურთიერთობას.

და მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები არიან დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ნორმალური სავაჭრო ურთიერთობის განვითარების გააფთრებული მოწინააღმდეგენი.

როგორია „თავისუფალ“ პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაციის ლიდერთა პოზიცია?

მათი პოზიცია მთლიანად ემთხვევა შეერთებული შტატების აგრესიული წრეების პოლიტიკას.

უფრო მეტიც, როგორც მიმდინარე წლის თებერვლის დამლევს ამის შესახებ იუწყებოდა ამერიკის რადიო, „თავისუფალ“ პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაციამ თავის წევრებს შორის გაავრცელა ანკეტა პროვოკაციული კითხვით იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაეწიოს, მათი აზრით, წინააღმდეგობა იმ საქონლის გაყიდვას მათ ქვეყნებში, რომელსაც ამზადებენ „იძულებითი შრომის“ გამოყენებით, მხედველობაში ჰყავდა რა ამასთან სსრ კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ გადაჭრით უნდა ამხილოს „თავისუფალი“ პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაციის ლიდერების ძირგამმთხრელი ანტიმუშური საქმიანობა. უყურადღებოდ არ დატოვოს მათი არც ერთი პროვოკაციული გამოსვლა.

ახლა პროფკავშირებისათვის, რომლებიც არ შედიან პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში, სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ამერიკის შრომის ფედერაციისა და საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ლიდერები არიან „თავისუფალ“-პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაციის ნამდვილი ბატონ-პატრონები, რომ ეს ორგანიზაცია მთელ თავის საქმიანობას უმორჩილებს ამერიკის შრომის ფედერაციისა და საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ლიდერების ნებას, რომლებიც იცავენ იმპერიალისტთა და არა მშრომელთა ინტერესებს.

ამხანაგებო!

მინდა ორიოდე სიტყვა გითხრათ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მუშაობის 1954 წლის გეგმაზე.

მიმდინარე წლის მუშაობის გეგმა, რომელიც პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სამდივნომ წარმოადგინა, მოიცავს საკითხთა ფართო წრეს. ამ გეგმის განხორციელება პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას საშუალებას მისცემს მნიშვნელოვნად განამტკიცოს და გააფართოოს თავისი გავლენა. მაშასადამე, ამოცანა ის არის, რომ გეგმა, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, შესრულდეს. მაგრამ ამისათვის საჭიროა დავაზუსტოთ და კონკრეტულად ჩამოვაყალიბოთ მისი ზოგიერთი დებულება.

ჩვენ სავსებით სწორად მიგვაჩნია, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სამდივნო სახავს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის და საერთაშორისო გაერთიანებათა აპარატის მუშაკების მრავალჯერ გაგზავნას მთელ რიგ ქვეყნებში, რათა გაეცნონ მდგომარეობას ადგილზე და პრაქტიკული დახმარება გაუწიონ პროფკავშირულ ორგანიზაციებს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საყოველთაო ეკონომიური კრიზისის ზრდისა და კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მშრომელთა მდგომარეობის გაუარესების თანამედროვე პირობებში იზრდება იმის საჭიროება, რომ გაძლიერდეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მუშაობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიურ და სოციალურ საბჭოში და შრომის საერთაშორისო ბიუროში.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენელთა სიტყვებმა ეკონომიურ და სოციალურ საბჭოში ხელი უნდა შეუწყონ მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობის ობიექტურ გაუქმებას, უნდა ამხილონ მუშათა მოძრაობაში რეაქციულ ლიდერთა პოლიტიკა, რომელიც მუშების საწინააღმდეგოა.

სასურველია, რომ პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის თავის შემდგომ მუშაობაში პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ გაითვალისწინოს თვითეული კაპიტალისტური, კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნის ეროვნული და ეკონომიური პირობები.

ამ თავისებურებათა შესაბამისად და მათი შესწავლით პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ უნდა განსაზღვროს თავისი საქმიანობის გეზი ისე, რომ არ ულალატოს ჩვენი ორგანიზაციის პროგრამისა და წესდების ძირითად პრინციპებს.

ამასთან დაკავშირებით პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის პრაქტიკულ მუშაობაში გათვალისწინებულ უნდა იქნას ეროვნული პროფცენტრების წარმომადგენელთა აზრი და წინადადებანი.

აღმასრულებელმა ბიურომ თავისი აზრი უნდა გამოთქვას მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წინადადების გამო 1954 წელს საერთაშორისო შეხვედრის მოწყობის შესახებ. ამ შეხვედრის მიზანია ხელი შეუწყოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. ჩვენ განზრახული გვაქვს მზარი დავუჭიროთ ამ წინადადებას. მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ და ამ ფედერაციაში შემავალმა ორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ საერთაშორისო შეხვედრაში. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის და ფედერაციაში შემავალი ორგანიზაციების მოვალეობაა დაეხმაროს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს, რომ ამ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღოს იმ პროფკავშირთა წარმომადგენლების ფართო წრემ, რომლებიც არ ემხრობიან პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას.

განაგრძობს რა მშვიდობის საქმის დაცვას, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ ყოველი ღონისძიებით უნდა იბრძოლოს კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის, ინდოჩინეთში ომის შეწყვეტისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ აღმასრულებელმა ბიურომ ურჩოს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სამდივნოსა და ეროვნულ პროფკავშირულ ორგანიზაციებს გააძლიერონ თავიანთი მუშაობა პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებათა ახსნა-განმარტებისა და რეალიზაციისათვის.

საჭიროა აგრეთვე პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სამდივნომ ყურადღება მიაქციოს პარიზისა და ბონის მილიტარისტულ ხელშეკრულებათა წინააღმდეგ მშრომელთა ბრძოლის აქტივიზაციას.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ უნდა მიაღწიოს იმას, რომ ევროპის ქვეყნების პროფკავშირებმა და, უწინარეს ყოვლისა, გერმანიის მუშათა კლასმა და გერმანიის მეზობელი ქვეყნების მშრომელებმა ხელი შეუშალონ გერმანიის მილიტარიზმისა და რევანშიზმის აღორძინებას, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიან მშვიდობასა და საერთაშორისო უშიშროებას.

და, ბოლოს, საერთაშორისო ვაჭრობის საკითხზე მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ აღმასრულებელმა ბიურომ თავის გადაწყვეტილებებში მოუწოდოს ყველა ქვეყნის პროფკავშირულ ორგანიზაციებსა და მშრომელებს იბრძოლონ იმისათვის, რომ გაფართოვდეს ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რათა განმტკიცდეს ხალხთა მშვიდობიანი ურთიერთობა და გაუმჯობესდეს ცხოვრების პირობები კაპიტალისტურ, კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში.

აღმასრულებელი ბიუროს გადაწყვეტილებანი, რომლებიც ამ სესიამ მიიღო, კიდევ უფრო განამტკიცებენ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გავლენას მუშების, მოსამსახურეებისა და ინტელიგენციის ფართო ფენებზე.

პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებათა და აღმასრულებელი ბიუროს დადგენილებათა თანმიმდევრული განხორციელება ახალ წარმატებებს მოგვიტანს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ერთიანობის განმტკიცების საქმეში.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს სესიაზე

ვენა, 25 მარტი. (საკდესი). 25 მარტს სესია მუშაობას განაგრძობდა. დღის წესრიგის პირველი პუნქტის გამო კამათს დამთავრების შემდეგ სპოლიო სიტყვა წარმოთქვა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ლუი საიანმა.

იგი შეეხო მისი მოხსენების გამო წარმოთქმულ სიტყვებს და აღნიშნა, რომ მათ აღმასრულებელი ბიუროს წევრებს გააცნეს პროფკავშირთა მე-3 მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულება, ეკონომიური და სოციალური მოთხოვნებისათვის ცალკეული ქვეყნების მშრომელთა ბრძოლის აქტივიზაცია.

ლუი საიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროპის, ამერიკის, აფრიკისა და აზიის მშრომელთა ბრძოლა ეკონომიური და სოციალური მოთხოვნებისთვის მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ამერიკის მონოპოლიების ძალადობის, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის დამყარებისათვის ბრძოლასთან განუყოფელად.

ბევრი ამხანაგის გამოსვლაში, თქვა ლუი საიანმა, დიდი ყურადღება მიექცა ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებათა რატიფიკაციისა და დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ბრძოლას. საჭიროა, თქვა ლუი საიანმა, დავრაზმოთ მშრომელთა უღარესად ფართო ფენები, რათა შევქმნათ მოქმედების ერთიანობა ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგ.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ უფრო მჭიდრო კავშირი უნდა დაამყაროს დასავლეთ გერმანიის მუშათა კლასთან და დახმარება გაუწიოს მას დასავლეთ გერმანიის ხელახალი შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ლუი საიანმა მოუწოდა განამტკიცონ მოქმედების ერთიანობა ამ მშრომელებთან, რომლებიც არ შედიან პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში, ამხელონ „თავისუფალ პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაციის“, „ქრისტიანთა პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაციის“, ამერიკის შრომის ფედერაციისა და საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ლიდერების ანტიმუშური პოლიტიკა.

შემდეგ მოხსენება თემაზე „ბრძოლა პროფკავშირული უფლებების დაცვის ძირითადი პრინციპების ცნობისა და გამოყენებისათვის და მზადება 1954 წლის 1 მაისისათვის“ გააკეთა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მდივანმა ლიუ ჯენ-შენმა.

სოციალიზმის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებისათვის

ქარაჩი, 26 მარტი. (საკდესი). გავლენიანი კომერციული ჟურნალი „კარაჩი კომერსი“ მოუწოდებს პაკისტანის მთავრობას ფართო სავაჭრო ურთიერთობა დამყაროს სოციალიზმის ბანაკის ქვეყნებთან. ჟურნალი აღნიშნავს, რომ შეუძლებელია პაკისტანის ახლანდელი მძიმე ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღება, თუ არ დაიდო ფართო გრძელვადიანი შეთანხმებანი სოციალიზმის ქვეყნებთან და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირთან.

აღნიშნავს რა, რომ ეკონომიური დაქვეითება ამერიკის შეერთებულ შტატებში სიძნელეებს იწვევს საერთაშორისო ვაჭრობაში და პაკისტანს უქმნის უკიდურეს სიძნელეთა საფრთხეს, ჟურნალი წერს: „საჭიროა ნათლად შევიგნოთ, რომ ჩვენი საგარეო ვაჭრობის ახლანდელი შემცირება... პირდაპირი შედეგია მთავრობის უუნარობისა — გამონახოს სხვა ბაზრები ჩვენი ექსპორტისათვის... ჩვენ გულწრფელად მიგვაჩნია, რომ უნდა ჩამოვაშოროთ პოლიტიკა ვაჭრობას და შევეცადოთ განვახორციელოთ პაკისტანის ეკონომიკის ერთ-ერთი არსებითი მოთხოვნილება — გავადიდოთ ჩვენი ექსპორტი საბჭოთა კავშირსა და სოციალიზმის სხვა ქვეყნებში“.

სსრ კავშირის ელჩმა თურქეთში რწმუნებების სიგელები გადასცა პრეზიდენტს

ანკარა, 26 მარტი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა თურქეთში ბ. თ. პოდცერობამ რწმუნების სიგელები გადასცა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ჯელალ ბაიარს.

რწმუნების სიგელების გადაცემის შემდეგ პრეზიდენტი ესაუბრა ელჩს, საუბარში მონაწილეობა მიიღო თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კეპრიულიუმ.

ბ. თ. პოდცერობამ პრეზიდენტს წარუდგინა თურქეთში სსრ კავშირის საელჩოს დიპლომატიური შემადგენლობა.

საერთაშორისო საჰადრაკო ტურნირი ბუქარესტში

ბუქარესტი, 26 მარტი. (საკდესი). გუშინ ბუქარესტის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გაიმართა უკანასკნელი, მე-17 ტური. უკვე მე-15 სვლაზე ფილიპ-პახმანის პარტია ყაიმით დამთავრდა. ტროიანესკუმ დაამარცხა ვეიდი.

ორიგინალურად გაითამაშა სიცილიური პარტია საბჭოთა ოსტატმა ხოლმოვმა ჩოკოლტაის წინააღმდეგ. ლამპი კომბინაციით მან მოიგო ხარისხი, შეიჭრა თავისი ეტლებით მეშვიდე ჰორიზონტალზე და აიძულა მოწინააღმდეგე 31-ე სვლაზე დაეთმო პარტია.

რთული ბრძოლის შემდეგ კორჩნოი-ო'კელის პარტია 31-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ბელენელ-შანდორისა და შტალბერგ-საბოს პარტიები.

დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა ფურმან-ნეიმეტდინოვის პარტიაში. ერთ ხანს შავებმა მოახერხეს თამაშის გათანაბრება, მაგრამ შემდეგ მათ გაუჩნდათ სუსტი პაიკი, რომელიც ფურმანმა მოიგო. პარტია გადადებულია.

ურთიერთ იერიშებით მიმდინარეობდა ვო